




საზოგადოებრივ-ცოტარაბუნადი ჟურნალი

პრიტი

ფასი 2 ლარი

1134
2019



2019 / ნოემბერი

7 (285)

პეტარ კუნდკა

ბურთის ჩამოვარდნა სოფლის
კვლის სათამაშო მოედნიდან

სარჩევი

პოეზია	1	ბესიკ ხარანაული ამისთვისა ხარ...
	7	ნუგზარ ზაზანაშვილი
	10	ნატო ინგოროყვა
	14	ია ჯინჭარაძე
	19	ირინა ტაბალუა
თარგმანი	25	პეტერ ჰანდკე ბურთის ჩამოვარდნა სოფლის კეგლის სათამაშო მოედნიდან გერმანულიდან თარგმნა ნათია დათუაშვილმა
	31	ენ კარსონი კვლავ ფლობერი ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
	34	ჰიონ ჯინ-გონი სახლი ინგლისურიდან თარგმნა ირინა ნოზაძემ
	37	უილიამ შექსპირი ჰამლეტი ინგლისურიდან თარგმნა ლელა სამნიაშვილმა
მიმოხილვა	41	დავით მაზიაშვილი შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალღობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.



პრილი - დასასვენებელი სიწმინდეთა

სულხან-საბა

პრილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარილი

ხალხური



ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



საგარეო ურთიერთობების
მინისტროს ავტორიზაცია
შპს სპობდის საინფორმაციო



ქვეყანა
სასლი

ბესიკ ხარანაული

ამისთვისა ხარ...

1.

ჯერ დილა არ გათენებულა და უკვე მეასედ ვამბობ: - მოგიტყვან!..
რა გაუმძაძრობაა!

ღმერთო, შენ, კურთხეული ხარ!
აეს ნერვებისგან აჩრდილივით კაცი,
ხანდაზმულის ნებივრობით სკამზე მიდებულის,
მანც ცოდვაში ვარ.

თუ სიბერე მომეც, ულაყზე რაღას მსვამ!

ყოველი ყლუპი სირცხვილად მიჯდება -
ჩემი თავის წინ.
რა უნდა ემოციებს კაცის გარეთ,
ამ ღობის იქით.
ემოცია ხელოვნებაა, სერიოზულობა...
მიჰყვები და რაა ბოლოში?
- გულისგატეხვა, რომ გამოტოვე:

ადამიანი ამოცანა არის ქროლვაში,
ამისთვისა ხარ.

ბოროტება უნდა გაიპიროვნო, უნდა თქვა: - მე ვარ,
ამისთვისა ხარ!

მოისმენ მუსიკას, ნახავ პეიზაჟს, ქალს, ბავშვს, ბუნებას,
დაიძინებ, გაიღვიძებ...
ამისთვისა ხარ.

შენს თავს ბევრს მოსთხოვ, მაგრამ ვერ შეძლებ,
- ჩაერევა ცხოვრება, იფიქრებ, - იქნებ გულში გავამხილე,
გულს აღარ ენდობი.
ამისთვისა ხარ.

ქალს შეიყვარებ, ეცდები ეჩვენო ძაან მშვენიერი,
მაგრამ მას ეს არ დააინტერესებს,
ის სხვას ეძებს შენში, სხვაზე გაკვირდება.
შენ გრძობ, მაგრამ არ გინდა განზილება,
- ძნელია ბუნების გადატრიალება,
საშინელებაა,
რომ ქალს არ ენდობი.
ამისთვისა ხარ...

რაც გინდა თქვა, თუნდ შენს უჩინში,
მანც ქალია იმის მომსმენი.
სჩანს, მინაც მდებდრია. მარმარილოც ქალისთვისაა,
ნიავიც. ვარდიც - მარტო ქალისთვის...
კაცი შენთვის ჯერ არ შობილა.

- მე მომეკედლე, სახელსაც იშოვი
და ნაპნკენებიც ტრაკზე სულ გექნება.
ადამიანების მომქცევი ვარ, უჭირველად ვაქცევ ადამიანად.
ხომ იცი, კაცი თავის შექმნილს გაეჯიბრება.



3600-4

404





ჯერ არ დაგრეხილა იმსიგრძე თოკი, ქალი რომ დააბას.
შენ კი სააბრაშუმე ძაფიდან უგრეხ კვლავ ბანარს.

თუ არ ითამაშებ, მაშინ ინრიალებ.

შენი თავისგან გაქცეული, მთვრალი რომ ეგდე,
ფეხებს რომ მოწყინდათ ხვეწნით სიარული,
მანქანები გცდებოდნენ, ფხიზლები გცდებოდნენ,
მთვრალი არ გაგცდა,
არ მოერიდა, რომ ტალახით კი არ იყავ დასვრილი,
არამედ სისხლით,
- ამის შემდეგ შენ ენდობი მხოლოდ შემთხვევას,
სიკეთესაც მხოლოდ შემთხვევას ართმევ.
ამისთვისა ხარ.

ტალახი მოსცილდება სამოსელს,
საკუთარი საქციელი კაცს არ მოსცილდება

მარტო წუთის შემკობა შეგვიძლია.
ამისთვისა ხარ.

შენ არ გინდა, რომ კარგი შეგერქვას,
რომ ცუდისგან ეს განგასხვავებდეს,
ამისთვისა ხარ.

შენ გინდა, კარგი გააკეთო,
მაგრამ გრძნობ, რომ ხელოვნების მოთხოვნას ასრულებ.
შენ არ გინდა, რაშიც ეჭვი არ არის,
შენ არ გინდა შესრულებული...
ამისთვისა ხარ.

ლუკმა ნახევრამდეა მხოლოდ მართალი
და შემკრთალი ნერწყვი მიტომ არ მოგყვება,
ამისთვისა ხარ.

საგნებს ნუ გაუფრთხილდები, სცადე არ დაგამშვენონ,
უხილავით იჭენე, საფარველი გედოს.
ათასი წამალი გაქვს გადაყლაპული,
მხოლოდ მწარე შეგერგო.
ამისთვისა ხარ...

სიტკბო არ ეძებო, გემო დაიყვერე,
ამისთვისა ხარ.

სარკეს ნუ შეხედავ წასვლის წინ გზაზე -
გარედან კაცი არ ილესება.
თუმცა არის ერთი გარდუვალობა, -
ღირსეული რომ არ დაფასდეს,
მაგრამ ესეც თავმონონებაა.

შიგნით ყველა მშვენიერია,
არ კმარობენ და გარეთ გამოაქვთ,
არ იციან იქ რა იქნება.

ულელივით განუხებს მიწა,
კაცი იბადება, ცხოვრობს და კვდება,
ამისთვისა ხარ.

ცოტა ყური რომ მოუძაბრო, ჯავრში მჯდარის ხმას გაიგონებ,
- რა ვაკეთებ? -

ადამიანი ამოცანა არის ქროლვაში.

ახალგაზრდობა მკრეხელია! ასეც უნდა იყოს,
უნდა იჯდეს მთვარის ძირში,
გადაშლილი ჰქონდეს ფურცელი
და იმღერდეს ერთ ძველ სიმღერას -

„ამ ნაწერით ძველ ნაწერებს დაერხა,
ამ სახეთი ძველ აფიშას აეხა...“

ესაა - ახალი.

იდეალური იქნებოდა, რომ მოხუციც იყოს მკრეხელი,
- ამისთვისა ხარ.

არც ელვა იქნება შენს შემდეგ და აღარც მინისძვრა.
შენს შემდეგ დიდი ანგარიში ატყდება..

ცოდვილია ადამიანი და ეს არის მისი ღირსება.
რომ ჩამოუარო და ცოდვათა გამო აწმინდო მინა,
გაშიშვლდება დედამინა და მარტოლა ღმერთი იქნება.
მოუწვევს შემოდგომის გრძელ ღამეში ტალიკანად ველზე თენება.

რამე რომ იცოდე, კარგი იქნებოდა?

მოხუცისთვის მთავარია სიცოცხლე,
ბიოგრაფია მისთვის
- სედატიურია.

სიკვდილს ყელის გამოწვევა არა სჭირდება,
ამისთვისა ხარ...

ეს მინაა შენი, სხვა არაფერი,
ამისთვისა ხარ,

სადაც ჩურჩულიც კი ხმაგამყვივარია,
ამისთვისა ხარ...

ეს მინაა შენი,
სადაც ქვაც კი სასთუმალია,
ამისთვისა ხარ...

სადაც მოუვლელობა არის ქვაკუთხედი
და სიცოცხლე მასზედ ყვავილობს,
სადაც საფლავები მოუვლელია, - დედაშენისაც,
და სადაც შენც დაიმარხები.
და იქნებით ორივენი მოუვლელები,
ქარი, წვიმა, თოვლი რომ გაკოპიტებდათ -
ის უნდა აღსრულდეს...
ამისთვისა ხარ.

დედაშენი რომ იყოს ცოცხალი,
კუბოში მილს ჩამოგიდგავდა, რომ მზის სხივი ჩამომძვრალიყო.
მაგრამ ეხლა სხვა დროა და სხვა ხალხი გმარხავს.

დასაბამიდან ადამიანი ორარსებაა,
- ვინ უთხრა, რომ ბოროტი არ არის?
- ვინ უთხრა, რომ კეთილია?

როგორ დავბრუნდეთ ადამის და ევას ხარისხში?
ადამიანის ხარისხში როგორ დავბრუნდეთ?





ნარსული მაშინ არის, როცა მოიკითხავ,
მაგრამ მითხარი,
ის მატლიც განა ღმერთის სათვალავშია?
ამისთვისა ხარ.

რაც მწირია მინა, მით კლდეა მასზე აღმოცენებული
და რას ნიშნავს სიტყვა - „მოკვდავი?“
- ვინც ითხოვს სიკვდილს,
რომ იქიდან გამოიხედოს.

რადგან ცოცხალმა რა უნდა თქვას საკუთარ თავზე,
რომ არა კვდება
და სულ ცოცხლობს ასე მწყურვალი.

ამიტომ კითხულობს, - რა უნდა ვაკეთო?
ჩამოთვლის და ჩამონათვალში სული არ იქნება.
- სული არ არის ადამიანის!
დაასკვნის მოკვდავი.

- რა ვაკეთო? - იკითხავს კვლავ, სულამომავალი,
ჩამოუთვლიან და ჩამონათვალში სული არ იქნება.
წავა მოკვდავი და სხვაგან მოძებნის.
ამისთვისა ხარ...

2.

დაე, ყველა შედგეს მთაზე ანდა გორაზე,
დაე, ყველამ ხელთ იპყრას ბუკი ანდა საყვირი,
რას დაიძახებენ?
- ძველმოდურსა და დრომოჭმულსა,
რალა თქმა უნდა.

შენ კი შეიპყარ ხის ჩამონათვალი ნაფოტი
იორმდინარეში,
გარანკუნე რიყის შავ-თეთრი კლავიშებზე, რომ შეიმართოს,
შედგექი ზედ და დავედრე ქვეყანას -
ისმინონ ნაფოტზე ამხედრებული რაინდის სიტყვები,
რადგან:


სიმცირიდან ვიშვით, დრომოჭმულო ძველმოდურებო
და მწარე სულის აირმა აგვიზიდა, ვინც კი აამალა -
მთაზე მალლაც, ცაზე მალლაც,
სამყაროში, ნაფოტზე მალლაც, -
რადგან უუმცირესის პირმშოა სამყაროც,
როგორც მეც, თვითონ!

მხდალი იქ თამამობს, სადაც გარანტირებული აქვს მშვიდობა.

ბედნიერი ვარ,
რომ მე ძიძა არ მყოლია
და საკუთარ დედას ვლიჯნიდი,
ვიდრე არ გავაშრე ბოლო სიტყვებამდე:
- ყველაფერი ძველმოდურია,
ყველაფერი არის დრომოჭმული,
- აემ ბავშვით ახალი იწყება!

ამბობენ - სამშობლო! - დრომოჭმულია,
ამბობენ - სიკეთე! - არის ძველმოდური.

ყველა რუკა, რაც ხალხს წინ უდევს,



დრომოჭმულია,
ყველა ხაზი - ძველსისხლიანი.
ხატვაც კი - ხატვა როა, არის ძველმოდური,
წერაც კი - წერა როა, არის დრომოჭმული.
ფაბულა, სიუჟეტი, თავგადასავალი,
სიტყვაკაზმულობა, სტილი, მაკარონი...
ახალიც კი ძველმოდურია,
ყველა სიტყვაც არის დრომოჭმული.

რადგან, წერა საქმე როდია, როგორც ადრე იყო,
წერა არის დიდი უსაქმობა
და ორივე მიუღწეველი -
ვერც წერით გახვალ ბოლოში და ვერც უსაქმობით...

მამალი ფარში ვერ დაიყვილებს,
ვერც ძროხა დაიზმუვლებს შემწვარ კატლეტში...

თავის დაკვრა, მოკითხვა, სახელს ვერ შეგძენს...
წერის მონა ვერ გახდება თავისუფალი,
ვერც უსაქმობის მონა აიშვებს,
რადგან საქმე არის - ჩაქუჩი ლურსმანზე
და დანა ყელში, -
რაც მიიღწევა და, არც ძველმოდურია და არც დრომოჭმული...

ამბავი რომ დაძველდება ნაწერი ხდება და აღარ იკარგება.
ასე არის დროვნილი კაციც:
თუმც ამომშრალია, რაც მასში ცხარე ამბები ესხა,
მაგრამ ნამშრალევიც ის სული ტრიალებს,
რაც იდგა სავსეში.
ამიტომაც უნდა წერო თავ-ბოლო წვეტიანი წინადადებებით,
რომ იმათაც ნაჰკრა, ვისთვისაც ძველი სასურველია
და იმათაც, ვისთვისაც დრომოჭმული არის სანატრელი.

იყო ძაფი უსუსური, რითაც ცას ვეკიდე.

კაცმა თუ არ გაიხსენა თავის ასაკი, სულ ახალია!

როგორც დაიყვილოს მამალმა ფარში,
როგორც დაიზმუვლოს ძროხამ კატლეტში...
- ყველაფერი ძველმოდურია,
ყველაფერი არის დრომოჭმული.

ღიმილი, მაგიდასთან ჯდომა, წელში გამართვა,
პატრიოტი, პატიოსანი...
ყველაფერი არის დრომოჭმული, -

სიყვარულიც ძველმოდურია.

გადაადეთ რუკა, რომელიც წინ გედოთ,
რომელმაც გათრიათ და გკლათ და გხოცათ,
აიღეთ ჩემი აბდაუბდის რუკა,
იხილეთ, საუკუნე რომ ეტევა წამში
და საუკუნეც წუნწნეთ კამფეტივით.

ყველაფერი დრომოჭმულია,
ყველაფერი არის ძველმოდური.

ადამიანმა მრავალგზის თავი დაიმცირა,
რითიც რომ იცხოვრა,
რითიც რომ იარა,
სუყველა ჩაძალდა

ვინც რუკაზე თითს ატარებდა,
ვინც ხაზავდა ისრებს გამდინარ სისხლით...

დაე, ძველ რუკას დააფსას ყველამ -
ცოცხალმა, მკვდარმა, კაცმა, ქალმა,
ძალღმან, კატამან...

ყველანი ჩაცვივდნენ უჩინარ ფართში:
აქვე როა, სადაც რომ სამივე ფართია, -
მეოთხე ფართი - იმ სამის ბათილად.

სასონარკვეთა საინტერესოა,
თუ მუმლზე ზიხარ და სამყაროში ხარ,
დრომოჭმულია ტაშის დაკვრა,
რადგან სიცოცხლის მერე სიკვდილია -
თამაშის პატივად.

მოაზროვნებს არაფერი გაუკეთებიათ,
მარტო თავი თუ შეინახეს.
მომავლისთვის დაიხარჯნენ უნიფხობები,
ისე, რომ, არც გაეგონათ სიბრძნის სახელი.

გალამაზება რომ დასჭირდა ქვეყნიერებას —
ჭლექიანებმა შექმნეს სიყვარული,
რომელიც შეუძლებელია ჯანსაღ პირობებში.
- ადამიანი მაშინ არის ადამიანი, როცა ვინმე უყვარს!
- კი, ენას ამდიდრებს...
ამისთვისა ხარ!

ნაწილისთვის საჭიროა ყველა ღირსება,
რომ მთელი ცხონდეს, -
როგორც ნატეხშია მჭადის ყველა გემო.
ამისთვისა ხარ...

კარგი როგორ იქნება კაცი,
როცა ცუდით არის შემკული!

ასწავლე სიკვდილი, შეაყვარე სიკვდილი,
აქციე სიკვდილი ზეიმად.
ამისთვისა ხარ.

აჰა, თაროებზე ენყო ყველა დრომოჭმული,
აჰა, ყველა ძველმოდური კედლებზე ეყუდა.
წამოხვედი და ზურგსუკან კარი მიუკეტე.

მიდიოდი შენი აბდაუბდის რუკით,
საუკუნეს წუნნიდი აღმდგარი გემოთი,
წამს კი აგუნდავებდი საუკუნედ,
რომ ზვაკი გესროლა..
ღიმილი კი რატომღაც ველარ მოიშორე,
უნდა იარო და ეძებო უკეთესი...

შვილს რომ დაძახება მოუნდება,
რალა შვილია,
ქვეყანას, ხალხს რომ მოუნოდებ
- ვკვდები, ძმებო, ვერ მიშველითო?
რალა სიცოცხლეა...

ყველაფერი - დრომოჭმულია,
ყველაფერი არის ძველმოდური.

ნუგზარ ზაზანაშვილი

* * *

ჩიტსაც სული აქვს,
რა თქმა უნდა, ჩიტსაც სული აქვს...

დაუგდე ყური:
გამთენიის წინ როგორ გალობს,
რა სრულყოფილად გალობს -
ქალაქშიც კი,
ამ მახინჯი სახლების სიახლოვეს
გადარჩენილ პატარა,
ვარდისფერ ვარდებიან სკვერში -
მოლალურია თუ ბუღბუღია,
ტოროლაა თუ შაშვია...


სული რა შუაშია?

აბა, ისე როგორ იგრძნობ
ღამის კიდეს?..

და
თანდათან
თენდება კიდევც...

ღამის და დღის გასაყარზე:
ვარდი და ბუღბუღი ...
ქალაქშიც კი,
ამ მახინჯი სახლების სიახლოვეს...

მე მინდა,
ჩემი სულიც ბოლოს იქ მოხვდეს,
სადაც მკვდარი ჩიტების სულებია...



* * *

გათენდა.
იანვრის მზიანი დილაა.
წელს არა უშავს იანვრის ამინდს.
ფანჯრის რაფაზე ყვავის ია და
სარეცხის საშრობი თოკის
სამაგრ ჯოხზე ყრანტალებს ყვავი
და ეს კარგია

დღეს გამელვიდა რატომღაც ადრე.
ეს იმას ნიშნავს, რომ დღე გრძელი იქნება.
ნეტავი, მე თუ ვიქნები დღეგრძელი?
არ ვიცი,
არა მგონია,
ბებრულად გამოვიყურები,
თუმცაღა, ყვავის ასაკს გადავაბიჯე
და ეს კარგია

(ცნობისათვის: ყვავი ას წელს არ ცოცხლობს,
ყველაზე ხნიერი - 59 წლისა გარდაიცვალა)

ზარია კარზე.

ალბათ დმანისელი აზერბაიჯანელი ცოლ-ქმარია,
ორი წესიერი, გამრჯე ადამიანი -
დილაადრიან მხოლოდ ეგენი მოდიან,
კარტოფილით, ხახვით და ვაშლით გვამარაგებენ
და ეს კარგია:

- კომშიც ხომ არ გინდა?
- არა, კომში არ მინდა, შემოდით, ჩაი დავლიოთ.

და კიდევ ცოტა სხვაცაა ამ ქვეყნად კარგი.

ზაფხულის გვიანი საღამოა
მივსეირნობ ნელი ნაბიჯით
ვჩერდები
ვჯდები ქუჩის სკამზე
ავტობუსის გაჩერებასთან ახლოს

გაჩერებაზე ხალხია

ვიხედები მოპირდაპირე მხარეს:
ნ-სართულიანი ძველი სახლის
მე-ნ სართულზე ერთი ნათურით
ერთი ნიშია განათებული

პატარა აივანზე ჩამომჯდარი
ერთი მამაკაცის სილუეტი მოჩანს

სახლის თავზე კი
ერთი ვარსკვლავი ციმციმებს.

კოტე სულაბერიძეს

შევდივარ პატარა მყუდრო გალერეაში
მონყობილ მშვენიერ გამოფენაზე
შევყურებ „შეყვარებულებს,
რომლებმაც თავები დაკარგეს“
და ყვითელნიცკარტა შაშვს

გამოვდივარ და ვჯდები იქვე



პატარა სკვერში
ბალის თავისუფალ სკამზე

ვხედავ
ბიჭს და გოგოს - 10 მეტრში, სხვა სკამზე:
ბიჭი ზის
გოგო კი ნახევრად წამოწოლილია
და ასე არიან ჩახუტებული ერთმანეთს

ჩემს და მათ სკამებს შორის კი
დახტის შაშვი
(ესეც ეტყობა სურათიდან გადმოსულია)

გომომრჩა
რალაც გამომრჩა
ასეთ დროს ყოველთვის
ერთი და იგივე განცდა მიჩნდება
რომ რალაც მნიშვნელოვანი გამომრჩა

ვიხედები ზევით
ბებერი კედლების ჩამოშვებულ
მუქ-მწვანე ტოტებს შორის
ლურჯი ცა მოჩანს.

* * *

ნიკა აგლაძეს

ვიცი, რომ არაფერი ვიციო
და შეიცან თავი შენიო
და არ უნდა ამას ფიცი-მტკიცეო, -
რა ვქნათ, არ დაეუჯეროთ გენიოსს?

გენიოსი უშელავათოა,
უბრალო კაცს კი სჭირდება შელავათი...
დღეს ძალიან ლამაზად მოთოვა.
გავიდა კიდევ ერთი საათი.

დადნება წლევეანდელი თოვლი და
მოვა და დადნება გაისად,
წავა - ისე როგორც მოვიდა,
მოვა - ისე როგორც წავიდა.

ეტყობა, თოვლის პაპობა ჯობია,
ჯობია, მოწყდე ხოლმე სივრცეს,
ჰოდა, თოვლს უნდა წავყვე-წამოვყვე -
ეგებ მართლა თოვლის პაპად ვიქცე.



ნათო ინგოროყვა

კონფორმიზმი. მართლწერა.

*„ვისია ეს ქვეყანა?“ -
იკითხა სოციალურ ქსელში მწერალმა ირაკლი კაკაბაძემ,
ჩემმა მეგობარმა.*

როგორ ინერება დამაჯერებელი ამბავი,
რომელი სიტყვები აღწერენ საგნებს
ისე ზუსტად,
მცირე ადგილიც რომ არ დარჩეს ეჭვისათვის?

მკითხე და გაგიმხელ

სინამდვილეში

როგორ ვკარგავ კავშირებს სიტყვებს შორის,
როგორ მტოვებენ სათქმელად გამზადებული სიტყვები,
როგორ ვუცვლი მათ ადგილს სტრიქონებში,
ვშლი, ვჭმუჭნი, ვხევე,
ვყრი სანაგვეში.

ის, ვინც ამ დროს თვალს არ მაშორებს,
იმასსოვრებს ჩემი ხელის მოძრაობას,
მზერის გაქვევებას,
აკვირდება, როგორ იცვლება სინამდვილე,
როგორ ელიან წინადადების დასრულებას
სიტყვები,
რომ წარსულში გადაინაცვლონ.

იცის ენამ აკვირება -
რამდენიც ვცადე,
ვერ დავწერე უშეცდომოდ
სიტყვა - „სამშობლო“.

კარდიოგრამა

გული მტკივა -
მითხრა დედაჩემმა.

როგორ გტკივა? - ვკითხე,
უფრო სიწუმის დასარღვევად.

სუნთქვის ნებას არ მაძლევს, -
თქვა და გაჩუმდა.


გზა, რომელიც მისგან
323 კილომეტრით მაშორებს,
კარდიოგრამას დაემსგავსა და

ზიგზაგებს შორის იკითხებოდა:

ორშაბათს - საჯარო ლექცია მაქვს,
სამშაბათს - გამოცდა,
ოთხშაბათს - გადაცემაში მივდივარ სტუმრად,
ხუთშაბათს - ჟურნალს გადავცემ გამოსაცემად,
პარასკევს - ჩემი ახალი წიგნის წარდგინებაა,

დეე, შაბათამდე დამელოდები? -
ვკითხე და თვალი ხელისგულისკენ გავაპარე -

სირცხვილი ერბოკვერცხს წვავდა.



ასეთი ამბის პოეზია

ყველა ამბავს
ერთი ლექსი ვერ დაიტევს.

ყველა ამბავი
არ არის პოეზიისთვის.

ეს ჰგავს მდგომარეობას,
როცა მზე შენს კანს ეძებს
მოსაკიდებლად,
შენ კი მზისგან დამცავი უკვე შეიძინე.

ეს თითქმის ამომშრალი მდინარის ამბავია -
თითქმის ცარიელ კალაპოტში გუბებებდ ჩამდგარი სევდის,

როცა ფრაზა,
რომ ისევ კითხულობ ბორხესს,
სოციალურ ქსელში უფრო ნაკლებ ინტერესს იწვევს,
ვიდრე ფოტო, საიდანაც
ნიგნის თაროზე მოკალათებული შენი კატა
ნიშნის მოგებით შემოგცქერის.

P.S. ბორხესსაც ჰყავდა კატა.
ჰყავდა და უყვარდა.

წყლის ხმა

*„თუ მდინარის პირას საკმარისად დიდხანს იჯდები,
ნახავ, რომ ერთ დღეს, შენი მტრის გვამსაც ჩამოატარებს“
ჩინური ანდაზა*

სიზმრისა მინდა იყოს
და ცხადისაა.

წყალი შეუდგა სახლს.


განა ერთბაშად მიანყდა და დაანგრია, -
ფიცარ-ფიცარ ჩამოშალა და
საძირკველიც გამოაცალა.

ვიდექი ხელებჩამოშვებული
და სურვილიც არ გამჩენია,
თუნდაც ერთი ფიცარი გადამერჩინა
მშვიდი ცურვისთვის.

ვიდექი დიდხანს და მოთმინებით.

მტრის კი არა -

ვინც მიყვარდა, მისი გვამი ჩამოატარა.



ხავსი

არსებობს დღეები და ღამეები -
გადარჩენისთვის,

როცა

ცარიელ ფურცელს ისე დაჰყურებ,
თითქოს საყრდენ წერტილს ეძებ
პირველი სიტყვის დასაწერად.
მერე - იოლია.

ასეა -

დიდი ტკივილის წინ
სიჩუმე ისე ბევრდება,
ყველაფერს ავსებს.
გოჯსაც არ ტოვებს ხმაურისთვის,
თითქოს ეშინია, საკუთარ ნაღმზე არ აფეთქდეს.

ღიას,

არსებობს ამბავი, რომელთანაც
მწერალი უმწეოა.
ის, ვინც ყოფს, ამსხვრევს, ადგილს უნაცვლებს, მალავს და ზოგჯერ იგონებს კიდევ -

ასეთ ამბავთან უმწეოა, რადგან იცის:
ვინც იბრძოლა - ნააგო.

წყალწაღებულთა სიტყვაა - ხავსი.

ცოცხლად დამარხულთა გემოა - მწარე.

ნაპრაღი

„გაივლის ესეც“

გაბედო უნდა,
წინ არ გაიხედო,
არც უკან მოიხედო.

სხვაგვარად
სიკვდილს გზას ვერ მოუჭრი.

გაბედო უნდა,
სიცრუეს და სიმართლეს უთხრა,
რომ - იცი.

სხვაგვარად
ვერ დასცინებ საკუთარ თავს -
დაგასწრებენ.

გაბედო უნდა,
თვალი უფრო მეტად დააპურო
ვიდრე - თვალთმაქცობა.

სხვაგვარად
ყველა კითხვაზე
გექნება ერთი და იგივე პასუხი:

ისეთი არაფერი.

გადაიქცევა ბზარი - ნაპრაღად,
გადაიქცევა ბზარი - ნაპრაღად,
გადაიქცევა ბზარი - ნაპრაღად

და

დამთავრდები.

განწყობის ანატომია

იცის ასე ტკივილმა -
თითქოს ველარც აღიქვამ.
ამბობ: ზღვარია.
ზღვარი კი - უჩინარი.



იცის ასე სახლმა,
აავსებ სიყვარულით,
ის კი - ცარიელდება.

იციან ასე დღეებმა -
მკვდრის ფერს დაიღებენ.
პირიქითაც იცის -
ლამეები თეთრდება.

იცის ასე ამბავმა -
თითქმის მოიხელთებ,
წინადადებებად აქცევ,
მაგრამ ვერ დანერ.

იცის ასე შიშმა -
თავზარს დაგცემს და
რაც მეტად ცდილობ გაეცალო,
უფრო მკვიდრად სახლდება შენში.

კედელი

*„Another Brick in The Wall“
Pink Floyd*

მე მქონდა სათვალე.

მინების მიღმა მოჩანდა ცხოვრება -
დალლილი -
სიმყიფის,
შიშების,
სიფრთხილის გამო.

მე მქონდა სათვალე.

მინების იქიდან მიცქერდა
ტყუილი.
მე მას ჩავეჭიდე,
რადგან ვენდობოდი.

მე მქონდა სათვალე.

მინების მიღმა მიედინებოდა
გაურკვევლობა,
რომელმაც ჩამითრია
და ბოლოს - გამრიცა.

მე მქონდა სათვალე.

მინები ყველაფერს ადებდა
ქვის ფერს,
სიჩუმის,
თმენის თუ
ერთფეროვნების უპირატესობით.

მე მქონდა სათვალე.

მინების მიღმა აშენდა კედელი

და

როცა დანგრევა მოვინდომე,
აგურის გამოთავისუფლება მოვინდომე,
ველარ შევძელი.

ვიქეცი კედლად.

ია ჯინჯარაძე

ჯინი რომ მყავდეს, ვეტყვოდი

თუ გინდა,
 გაჩუქებ, სპილენძის თუნგს
 და სპილოს ძვლის ანგელოზს -
 ფრთებჩაქნეულს,
 თუ გინდა,
 დაგიტომო ჩემს ოთახს, სავსე ხეებით
 და დაკარგული სამკაულებით
 და სამკუთხედში გამოკეტილი ადამიანებით.
 დამასკოდან ჩამოტანილ
 შარფებს და სიხარულს.
 მენანება, მაგრამ იყოს შენი,
 ცისფერი საათი,
 მუჰამედ აბასის სახსოვარი,
 ოლონდ წამიყვანე
 კასიონის მთაზე,
 შობის ღამეს
 და მიმღერე სიმღერა -
 ნვიმის ნვეთივით
 სიმარტოვეზე.



ლაზარე

თოვლი მოვიდა,
 დიდი თოვლი,
 შენ კი არ შეგეშინდეს
 თეთრი ბურთულები
 სიცივის სისხლში
 და ტკივილის ნვეთების
 გულის ქვაზე
 და უცნაური გაღვიძების.
 თოვლი მოვიდა,
 დიდი თოვლი
 და მე ზოგჯერ მშურს,
 კუტი პურებივით
 ცალკე მინყობილი მკვდრების,
 ცას რომ შეუტყის და აიღეს.
 მინდა იცოდე, პატარა ბიჭო,
 თვალები რომ გავახილე,
 მეც შენსავით გამახსენდა
 ჩემი ერთი დის სახელი
 და არ ვიცოდი,
 საით უნდა წავსულიყავ
 ამ უკულმა სიცოცხლეში.

შავი ძაღლი,
 ფეხმტკივანი,
 ეკლიანი მინდორი
 და მინდვრის გადაღმა მცხოვრები ორი გოგო.
 როგორი იქნებოდა ჩემი ბავშვობა
 თქვენს გარეშე?
 ქოლგიანი ბებოს გარეშე?
 გასაპნულ ღელეში მოკისკისე ქალების გარეშე?
 - სადაა შენი სული? ყვავილებით უნდა მოვრთო -
 მეუბნება ჩემი ქმარი.
 იქნებ იმ კაკლის ხეში,
 ფანჯრებს რომ მიჩრდილავდა
 და იდგა ჩემს ოთახში ორი დრო -
 ყინვა და სიგრილე.
 იქნებ ჭინკებმა გაიტყუეს ტყის სიღრმეში,

ან საფლავებს შორის მოხეტიალე,
 მზით გამთბარ ქვებს აკვირდება?
 - ისეთი კრიალა ასფალტი დააგეს -
 ხარობს დედაჩემი,
 ჰო, ალბათ ეს უფრო მნიშვნელოვანია,
 ვიდრე ვინმე სული,
 დაბნეული და ცოტათი სულელი.
 ჩაიარა - გიჟმა ყვირილით
 და ჭკვიანმა ჭკვიანმა,
 ჩაიარა - ცხენიანმა კაცმა
 და ყვაავით ლამეებმა...
 ძალი კი დარჩა
 და მინდორი
 და ორი გოგო -
 ქერა და შავგვრემანი.

* * *

...და არაფერი, არაფერი,
 მხოლოდ სუსხიან
 ვიხსენებ დღეებს,
 დღეებს შორის
 გაბმულ მავთულებს,
 ვიხსენებ მერცხლებს,
 გახსენებას ცოტა ართულებს,
 ის ერთი მკვდარი,
 დაცემული, როგორც საყურე,
 თუ ფოთოლი,
 შავ-თეთრი ღილი
 და არაფერი, არაფერი,
 ვწევარ დაღლილი
 და ცას ავყურებ.
 რომ მქონდეს
 ცეცხლი და ნაცარი -
 ჰყვებიან ამბავს,
 რომ მყავდეს ცხენი,
 მოგახლიდით სიმართლეს ხელად,
 რომ მქონდეს ძალა,
 ქვა გავწურო ჭყინტი ყველივით,
 სიტყვის ჯადოთი
 და გედივით მაღალი ყელით,
 ვაბნევედე ყველას...
 ახლა კი ვწევარ
 მონყენილი და ცას ავყურებ,
 შორს და თავისთვის,
 ყველაფერი შორს და თავისთვის...
 დედი! - ვერ ვეტყვი
 ბებერ ალქაჯს
 და ბროლის კოშკში,
 ორი ნანნავი არ ბრიალებს,
 ორივე ოქრო.



* * *

ნეტავ რა სჯობს,
 დამქანცველი დღის შემდეგ,
 მინაზე დავწვე პირქვე
 ჩემს ჭია-ლუებთან,
 თუ ცის წიაღს
 გავუშტერო თვალი?
 ნეტავ რა სჯობს,
 სიცხიან ღამეში
 დავითვალო მთვარე,
 თუ თავიდან დავიბადო?
 რომ ვყვარებოდი მოაბადს -


მებადურს, ან მეფეს,
 ვინმეს რომ ვყვარებოდი,
 არ მოვძებნიდი
 კუნძულს ზღვაში
 შენთან შესახვედრად.
 აქ ცასთან ახლოს,
 ხმელი ქარი ტკაცუნობს
 და კაცებს სჯერათ უკვდავების
 და ქალები იცინიან,
 აქ - სასაკლაოზე.
 და ის ხეც -
 ჭრელი ლენტებით - მოჭრეს
 და ცეცხლს შეუკეთეს.
 მე კი, მაინც მინდა,
 მოვუძებნო ამ ლექსს
 კეთილი დასასრული
 და ამ ცხოვრებასაც,
 მზესავით სიკვდილო.

* * *

დავიზეპირე ეს დღეები,
 სავსე ყინულით
 და გუდაფშუტა ღამეები,
 როცა თვალები მდინარეებს
 ველარ იტყვენ,
 როცა თვალები უდაბნოებს
 ველარ იტყვენ
 და სიზმრებიდან უმიზეზოდ იპარებიან.
 დედა, ნუ ჯავრობ,
 მე გამძლე ვარ,
 როგორც თოჯინა,
 მოაძრობ მკლავებს,
 მერე ფეხებს,
 მერე მიაბამ,
 ღამაზი ვარ და ჩუმი ვარ და თვალეფახულა,
 თავზე მახურავს თავსაფარი
 ლურჯი მთვარით და ვარსკვლავებით,
 - მზე - დედა ჩემი -
 სხვა მინდვრებზე მოსულ ყვავილებს
 ვუყვები შენზე,
 ეკლესიის ბრძენი ობობა
 მასწავლის ლოცვას,
 მეძნელება,
 ჩემი ხელები
 წყალს ატარებენ საცერივით
 და მტვრიან სხივებს
 და მაპატიე,
 ეს ჩიტობა რომ მოვიგონე
 და ხიდან ხეზე გადაფრენა
 და ციდან ცაზე.

* * *

ღმერთო, დიდხანს მიცოცხლე
 დედაჩემი,
 რომ მონატრებამ
 ნესტივით არ გამოჟონოს
 სიტყვებს შორის.
 მერე რა,
 რომ სიზმრის საბანს
 რა ხანია, აღარ მიკეცავს
 და ტკივილის ეკლებიდანაც
 ვიცი, მარტო უნდა გამოვძვრე
 დაკანრული.



მიდის ღამის სოფელში -
ასეთს ვხედავ,
ყველას ექიმი,
ყველა დარდის მცოდნე.
სოფელი კი,
ნელა გაიკრიფა მთვარისკენ
და იქედან ათვალიერებს
აყვავებულ სახლებს,
სადაც ქარი დახრიგინებს
და მიაქვს, მიაქვს.
ღმერთო, დიდხანს მიცოცხლე
დედაჩემი,
მზეზე ადრე ამოსული,
თავდადებული.

რა ერქვა ლოტის ცოლს?

ყველა სიტყვამ,
რომელმაც ჩემამდე მოაღწია
ასომთავრულით და ნუსხურით
და მხედრულით
და საჰაერო გზებით,
ყველა სიტყვამ,
რომელმაც გაიარა თხელი კედლები,
ან გულში გაიჭედა,
მასწავლა -
სიხარულის გვერდით დარდი დგას,
სიკეთის წინ - ქვა.
ფიზიკის გაკვეთილიდან
კინისკვრით გამოგდებული
ყვავილებს ვამეცადინებ:
- ქარი იბადება, იზრდება და კვდება
და ქარის შვილები
ადამიანებით დაეხეტებიან.
ჩემი ქართულის მასწავლებელი,
უცნაური და ფიქრიანი,
ზოგჯერ შემოიპარება სიზმრის ლექსებში
და ნითელი ფანქრით მისწორებს შეცდომებს.
სულ მინდა ვკითხო,
ღირს თუ არა გზის გაგრძელება,
თუ სამზეოზე ვერ გავიყვან
ჩემს შეყვარებულს?
ღირს თუ არა გზის გაგრძელება,
როცა ქალაქი ცეცხლივით
ცისკენ მიიწევს,
(ხეებმა რა დააშავეს, ქვის ჩიტებმა)?
სულ მინდა ვუთხრა -
მისი ბრალია,
მეთაურის ბრძანებაზე
რომ არ ვიჭიმები,
და უკან ვიხედები,
იქნებ ამ ჭირის და სიკვდილის ჭიდან
ერთხელაც ვინმე ამოვიყვანო.



* * *

გახსოვს, შენი დახატული დინოზავრები,
(ეს მიდის ამის შესაჭმელად - მიხსნი),
როგორ ვაქციე შეყვარებულებად?
ახლა გეუბნები, ასი წლის მერე -
შენ იყავი მართალი!
მაშინაც მართალი იყავი,
როცა ამბობდი, რომ ცხოვრება
არაა ლექსების წერა
და თავდაყირა სიარული


და მეც გავყევი
მზის რომელიღაც თვალს,
ღვთის ურჩების,
თუ ბავშვების შესაყვარებლად.
და ზოგჯერ ყვითელი ჩრდილიდან
ღამეში რომ გადავირბენ,
ან მერე, ღამეს დილა რომ უჩნდება,
ვხედავ, მკაცრ მლოცველებს,
საესეს პურით და მიტევებით,
როგორ უქრებათ მზერიდან
ის ფერადი თოკები,
რითაც აკრობატები ცაში ადიან.

* * *

მე ვარ გატეხილი სათამაშო
და ერთგული,
როგორც წყალი,
შემიძლია, გულში ჩაგიკრა -
უკვალოდ.
მე ვარ ბრმა, ხის ჯობით,
მოგზაური,
ჩემი თვალების ღამეში
და მოხუცი -
სადღაც მიდის
საბარგო მატარებლით.
რამდენი სისულელე ვიყვირე,
რამდენი ჩრდილი შევიცვალე
და ხელები ვუქნიე
გამოგონილ გემებს
და მგზავრებს გემბანზე
და მხოლოდ ერთმა დამინახა
და გამილიმა.
მე ვარ ბავშვები,
თოვანში ერთმანეთს
რომ ეკვირან
და მარცხენა ავაზაკი -
ამბობს:
-თუ შენ ხარ ქრისტე,
მიხსენი!

ანგელოზი კასიონის მთიდან

ხელს თუ გამიშვებ,
აი, ასე ნელა ავცდები
მწვანე მინდორს
და გუმბათიან სახლებს
და მოყიჟინე ჩიტებს.
ვიდრე მე,
თავი უკულმა მედგა მხრებზე
და ფრთებიც უკულმა,
მოხდა ათასი
მხიარული ამბავი
და ათასი
სევდიანი ამბავი.
ჩემო შორეულო,
შორეულო საყვარელო,
როცა მივხვდი,
რომ ვერასოდეს დავეწევი მზეს,
მე მოვკალი ღამის შიში
კაენივით
და ცას შერეული,
კრიალა თვალებით ვითვლი
სხვა გადამფრენ
ანგელოზებს.



ირინა ტაბაღუა

ტელეფას ცხვარი

მრავალი წელია იმ ბალახს ვძოვ,
 სადაც არც ჭინჭარი ასცდა ჩემს ღრძილებს
 და არც უჯანგარი.

ტელეფას ცხვარივით
 უწყინარი და უსუნო შევრჩი ველებს.
 იყო დრო,
 ბელადები მიჭამდნენ გვერდებს,
 და თავიანთ ქალებს
 ულვაშის ცმაცუნით აპრეხილ ნესტოებთან ჩასჩურჩულებდნენ:
 აბა გამოიცანი, ცხვარი ვჭამე თუ ხბოო.
 იმ ხარაჩოზე მინდა ავკუნტრუშდე,
 ჩემს წინ

გაფარჩხული ძუკნასავით რომ დგას,
 სადაც ბელადი არა,
 მაგრამ მოკუნტული ლოთი ლესავს
 დაკბეჩილ კედელს.

ყურს ვუგდებ დიდხანს ქაფჩის ხრინჩის,
 და ასე, ფეხზემდგომს, ჩამეძინება.
 თითქოს სავსე ავტობუსში ვიდგე, მარჯვენა ხელი საყრდენზე მეჭიროს
 და უცხო თითები
 განგებ მეთათუნებოდეს.

აუცილებლად გაიხსენებ სიტყვებს: თითსაც ვერავეინ დამაკარებთ.
 გაიქცევი დედამიწისკენ ისე,
 რომ ხურდასაც არ გაიმეტებ გამაძლარი მძლოლისთვის,
 ჩემს ამოსვლამდე

გადაკეცილი ხორცის ღვეზელით
 რომ ჰქონდა ყბა სავსე.

არც ტრანსპორტთან მომდგარი მათხოვარისთვის,
 რომელზეც მეტი მათხოვარი
 თავად ხარ.

ურიგოდ მივარდები პროვიზორთან,
 მუხლებში ჩავარდნილი სთხოვ
 ის წამალი დაამზადოს,
 ტვინს რომ დაკეტავს,
 დაგარქმევენ უტვინოს
 და შეგედება


ისეთი სისასტიკე ჩაიძინო,
 პასუხიც არ მოგეთხოვოს.

დაიკბინო ტანი,
 შემდეგ დაისერო,
 ეს გააკეთო სწორედ ციკლის დროს,
 მოიგონო, რომ აგხადეს წამუსი.

არადა წლებია წამუსახდელი დააბიჯებ.
 ადგე და იმ მოძღვარს დააბრალო გაუპატიურება,
 რომელმაც გაგიმეტა,

ყველა შენი საიდუმლო ილაცება
 სოფლის გრძელ გზაზე,
 გზაზე, სადაც ველარ დავბრუნდით.
 ღმერთს თუ ვკითხავთ, ეს ლაცობა,
 გაუპატიურებაზე მეტი გარყვნილებაა.

ბოლოს აქციო ზურგი და ირონიულად წაუღიძინო:
 მე იმ ტაძარში ვგალობ, სადაც ვცხოვრობ,
 მე ის ტელეფას ცხვარი ვარ
 მამაოები და ბელადები რომ ჭამდნენ.



მორჩა!
ველარ ვინირები,
მორჩა! მჭლეც გამიცვდა,
ახლა დიდი-დიდი ფეხები მომჭამოთ
და ჩემივე ჩლიქებით
დღის მეორე ნახევრისთვის
უცხიმო წვნიანი მოიხარშოთ.
ხმამალლაც დააბოყინოთ.
განაგრძოთ ლოცვები დილიდან დილამდე,
დილიდან მესამე დილამდეც,
ისევ ჩემნაირებისთვის,
ისევ მისნაირებისთვის,
ისევ მათნაირებისთვის,
ოღონდ არა შენნაირებისთვის,
ოღონდ არა თქვენნაირებისთვის.
უკუნისამდე.

ნოემბრის ქალებს

ენ სექსტონს

მან პულიცერის პრემია მიიღო,
მე - რუსთაველის.
მეექვსე ჭიქაში
ფეხებზე გვეკიდა ნობელი.
საშინლად ვხარხარებდით.
ვამჩნევდით,
თუ როგორ წყდებოდა ფრთხილად
ჯაჭვი არაყში.
ყველა ხედავდა ჩვენს გარყვნილებას,
მოგვწონდა ჩვენც ეს,
„ნოემბრის ქალებს“.

გგონია გაიზარდე

ეს ის ასაკია,
როცა აღარც კარტოფილს ატან სქელ კანს,
აღარც დანა გიბლაგვდება.
მიცვალებულის შიშიც გადალახე.
შემიძლია, ღამის საათებში,
უცხო საფლავეები ვათვალიერო.
არითმეტიკა მიმავინწყდა:
სწრაფად გამოთვლა მიძნელდება იმის,
თუ რა დრო გაატარეს
გარდაცვლილებმა სააქაოში.
როგორ მამბორძიკა ცხოვრებამ,
არც კი ამოუხვეწეშია.
ამას წინათ ფეხები ავანყე კედელზე
მარცხენა წვივთან, ლურჯი ფერის
წვრილი კაპილარი შევნიშნე,
რომელიც ელვას ჰგავს.
წვიმის დროს ქრება,
ადრე არ შემინიშნავს.
ადრე არც ის შემინიშნავს,
როგორ მივატოვე საკუთარი თავი იმ ნაპირთან,
სადაც ჩემს გარდა ყველა გაშიშვლდა,
მე კი ნამშობიარები მუცელი
ქვიშით დავმალე.
გავიფიქრე: რამხელა ქალობაა



ჯერ კიდევ საზიდი,
დღესვე რომ ჩავაკვდევ საწოლს:
ან თრომბი მონყდეს,
ან ჭარბი ორგანზმით,
ან, თუნდაც, წყლის ყლუპი გადამცდეს სასულეში.
იმდენი რამე ნახა თვალმა...
ყურსაც არ ვუჩივი,
ხანდახან, აკლიმატიზაცია მიხშობს
და იმ მცენარეების ხმა არ მესმის,
უხეირო კლდიდან რომ მიმზერენ.
ავიკვიატე:
შინიდან გავდივარ თუ შინ ვბრუნდები,
კარი აუცილებლად სამჯერ უნდა გავალო და დავხურო,
თითოც კი მოვიყოლე,
იმდენად მწარე არ იყო,
რამდენადაც ქვედა
მეოთხე საღეჭი კბილის ნერვის ციმციმი.
არადა, ხომ მეტკინა.
თუ გგონიათ,
რომ არ განვსხვავდები თქვენგან,
ძალიან ცდებით.
სანამ თქვენ მოიკაზმებით,
მე, თხელ პენუარზე ბამბის ხალათით,
უნინდო და თმარეული,
სამჯერ შემოვუბრებ ქალაქს.
ასე უფრო მამჩნევენ,
ასე უფრო კობტა ვარ,
თან, ვყვირი:
არცერთ კაცს არ გირჩევთ ჩემს შეყვარებას,
რა აზრი აქვს.
კაცმა, რომელმაც ძვლამდე შემეყვარა, ვერაფრით გამოიცნო,
ჩემი სხეულის რომელი ნაწილი დალპება პირველად მიწაში.
„თქვენობით“ მიმართვა მძულს,
მირჩევნია მარილის გარეშე
მივირთვა ნესვი
და მარტოდ გაგრძნობინოთ თავი.
არც ის დედა ვარ,
დილით რომ წამოხტება
და შვილებს სკოლაში კარაქიანი პურით გაისტუმრებს.
მაგ დროს მე მძინავს,
ძილშივე ვზრუნავ მათ დანაყრებაზე.
არავინ ამჩნევს ჩემს სიყოჩაღეს,
არ ამჩნევს არავინ
გარდა იმ ხოჭოსი,
მინის წმენდის დროს შელახული კედლიდან რომ მესაღმება.
რამდენი ვწერე, ღმერთო,
ნეტავ არასდროს მენერა.
არადა, როგორ არ მოვუფრთხილდე იმას,
საიდანაც გასვლა მომერიდება.
განა რამის დარდი მაქვს?!
ერთ თვესაც, ციკლი რომ გადამიცდეს,
დაუგეგმავი შვილი ჩამიჯდეს ტანში,
მესამედაც ავიტან კანის განელვას.
მაგრამ რა ვუყოთ ნერვებს,
რომ არ გყოფნის ბედნიერებისთვის?!
რა ვუყოთ
სადაცაა მოსულ ნოემბერს?!
იმ ოცდათხუთმეტ წელს,
სუფრის კოვზით
რომ შეექცევი თავისუფლებას?!

კარგადაც მოილხენ,
ბევრსაც გამოლანძღავ ამ დროებითობას.
აჰა, და გგონია გაიზარდე.
არადა, თავიდან გასაზრდელი ხარ.

საძილე

იცის ასე საძილემ:
გესიზმრება მაღალი კიბე,
პირველივე საფეხურზე
საინტერესო კაცი დგას
უინტერესო ფერადი ვარდებით.
მარტივად შეეძლო მოვეხიბლე,
ხელში სჭეროდა
თუნდაც, ხის კუნძზე ამოსული,
ბოროტი სოკო.
ჩაღეჭავდი და ამ მშვენიერ სიზმარშივე ამოხოცავდი საკუთარ თვალებს.
გრძნობ, როგორ გორდები,
კაცამდე ვერ მისულს გაფხიზლებს
შენივე მარჯვენა ფეხის შეხტომა.
პირველი, რაც თვალში გხვდება,
სამხრეთით აჩაჩული ზენარია.
ეს ის დროა,
როცა ყველა ჩიტს გამორთული აქვს ხმა.
ცდილობ ძილში შეღწევას,
იქნებ მეტი საინტერესო რამ იხილო.
ილიმი, რომ არ გეშარდება.
არადა, წრიალებ.
ახლა მხოლოდ ძილი გინდა,
ჯანდაბა თქვენს თავს!
განა ყველა კაცს შეუძლია რამე საინტერესო ეჭიროს ხელში!?

ახლაც იქ ვცხოვრობ

ახლაც იქ ვცხოვრობ, ქვედა სართულზე.
კაბელი, რომელშიც
მოხეტიალე დენია ჩამწყვდეული,
ისევ კორპუსზე კონწიალობს,
ოღონდ ძალა აღარ აქვს,
ველარ მარტყამს.
მაშინ ბავშვები არ მყავდა,
არც ნაიარევი მუცელი მქონდა.
მარინისტულ პეიზაჟს ჰგავს მუცელი,
ნაიარევი - ზღვის ჰორიზონტია,
ჭიპი - მზეა.
მოკლედ, მე ჩემი დაისი მაქვს.
სამაგიეროდ ზედა სართულის თოკია
უცვლელი,
რომელზეც ტლანქი მეზობელი
ჯერ - კაბას,
შემდეგ - ზენარს,
შემდეგ - კოლგოტს,
შემდეგ - ისევ ზენარს,
ბოლოში კი
ცალ-ცალ წინდებს ჰკიდებს ხოლმე ულამაზოდ.

სახლს სამჯერ გამოვუცვალეთ ფანჯრები.
მე იმ ფანჯრისკენ ვიხედები,
რომლის რაფაზეც დღემდე

თურქული რძის შავი ყუთი დევს,
გარედან მშიერი ძროხა ახატია და,
ასე თუ ისე, საყვავილედაა შერაცხული,
ოცი წლის წინანდელი, ქვადქცეული მინით.
ხანდახან,

რკინის რგოლებზე დაკიდებული
ბანტის ფარდა თუ გადაემხოა,
მთელი ბავშვობა

შავკანიანი ქალის საყურე რომ მეგონა.
ეს კორპუსი ტყვეებმა აგვიგეს,
ვცდილობდი კარგად მესწავლა გერმანული,
რომ წერილი მიმეწერა მათთვის:

„- გმადლობთ, რომ მსხვილი კედლები დაგვიტოვეთ!“

მშობლებმაც იყოჩაღეს,
ოროთახიანი ბინა სამ ოთახად მიქციეს.
სიგარეტიც ჩემი კორპუსის
გრძელ დერეფანში გაგსინჯე პირველად,
ნათესავ ქალს მოვპარე,
ჩვენს სახლში

ანგელოზად რომ ჩასახლდა.
პატარა ცელოფანს მალავდა მუდმივად,
რომელშიც მხოლოდ სურათები ჰქონდა.
ომისგან თავდალწეული,
ამბობენ, დოღო დაიღუპაო,
მაგრამ მე იმ ხალხს არ ვთვლი მკვდრად,
ვინც კუბოში არ მინახავს.

მას შემდეგ ყველგან სიძველეს ვეძებ.
საშინლად შევიყვარე ბავშვობის ალბომი,
ხანდახან ვსუნავ

შიგნით გამოკეტილ ჩემს ბავშვობას.

უმეტეს სურათზე
„ბორჯომი“ ან „ნუნისია“

გაურკვეველად ამოტიფრული.
ზოგან ჩოჩორზე ვზივარ,
ზოგან ბალის პედაგოგს ვუბღვერ.
არც ძველი ნავთის ქურა გაგვიჩუქებია,
არც ხაზის ტელეფონი გაგვიუქმებია.
ამ ტელეფონზე მხოლოდ ბებიაჩემი რეკავს.
ოთხმოცი წლისაა ბებიაჩემი.

იმ დროს რეკავს,
როცა ვკითხულობ ან ვწერ.

იმ დროს,
როცა მარტო ვარ სახლში.
ვიცი, რომ მარტო ვარ სახლში
და მაინც ვყვირი:

„- ეს ქალი ხელს მიშლის,
ვინმემ აიღეთ ყურმილი!“

ვასრულებ წერას
და ვინყებ ნერვიულობას,
რატომ არ გავაგონე,
იქნებ რა უჭირდა?!
ჯანდაბას შენი წერა და ნევროზი!

და ერთ დღეს,
იმ დღეს,
როცა მე ხელს აღარ შემიშლის
და აღარ დარეკავს,
ეს სახლი თავზე ჩამომენგრევა.



რა საჭიროა ქმარი

არც თვე მახსოვს,
არც რიცხვი..
სანაპიროზე ლურჯად შეღებილ სამშობიაროს ჩავუარე,
ქალის არაამქვეყნიური ბლავილი ჩამესმა.
ჩემს თავს ვუთხარი:
რა კარგი ვქენი,
რომ ორჯერ დავისვი მუცელზე ლანცეტი,
ისე უხმაუროდ ამოვყარე შვილები,
რომ მეგონა ფილტვები მუცელშივე ჩამიტოვეს.

საბარგულზე მიყრდნობილი ორი კაცი
ქალის ყმუილს
შამპანურით აღნიშნავდა.
ჩანთიდან გაზეთში გახვეული ფუნთუშები ამოვიღე
და ორთავეს ვუწილადე.
ვიგრძენი, ესიამოვნათ ჩემი სიჩუმე.
გავიფიქრე:
რა საჭიროა ქმარი?
და მარცხნივ მლოლავ კატაფალკას გავუღიმე.

სახლში მისულმა მნიფე კივი დავსერე.
ცხრა საათზე მრავალშვილიანი მამა უნდა მსტუმრებოდა,
რომ მომეყოლა იმ ქალის ტინთვებზე.
მივხვდი, დალლილი იყო.
თითქოს მას ემშობიარა თავისი მრავალი შვილი.
ერთხანს ათამამა დაჭმუჭნული ცხვირსახოცი.
აღბათ, ეს კაცი კატაფალკაში მწოლიარე ის მკვდარი იყო,
ღიმილით რომ გამოვაცოცხლე.

შიოდა.
გამახსენდა, რომ ფუნთუშებით სხვა კაცები დავანაყრე.
დილამდე შემანუხა ფიქრმა...
რა საჭიროა ქმარი?
საძოვრებზეც ვუშვებთ,
მერე რა, თუ სავსე ჯიქნებით ბრუნდებიან?
თუკი სალამოს არც ყველი შეგვრჩა
და არც ის უფერული კვეთი,
რომელსაც
სხვის სათლში დაუფიქრებლად ჩალვრიან.


გოგორწყვილი

საიდუმლო არ გამაჩნია.
იცოდეთ მაინც,
ჩემ წინ რკინიგზაა.
აქეთ მე და ჩემი სახლი.
ნანვიმარია.
ვნევარ და ვუსმენ,
ჩაქურჩისაგან შენუხებულ
გოგორწყვილის იდუმალ ხმას.
ამალამ უთუოდ ასცდება რელსს.
ამალამ უთუოდ ავცდებით.
განვიმდება, ვიცი.
იმ კაცზე მეფიქრება..
ტურებიდან ნიჭი რომ გამოვტყუე.
ყველგან სისველეა.
გაგიმართლათ,
ამ ყოველივეს მშრალ ამინდში
არ გაგიმხელდით.

პეტერ ჰანდკე

ბურთის ჩამოვარდნა სოფლის კეგლის სათამაშო მოედნიდან

გერმანულიდან თარგმნა ნათია დათუაშვილმა



დეკემბრის შუა რიცხვებში, ზამთრის ერთ საკმაოდ ცივ დღეს, ორი ავსტრიელი - სტუდენტი ბიჭი და მისი უმცროსი ძმა, პროფესიით ხურო, რომლებიც მოკლე ხნით იმყოფებოდნენ დასავლეთ ბერლინში, სადილის შემდეგ ქალაქის რკინიგზის სადგურ „ცოლოგიშერ გარტენზე“ „ფრიდრიჰშტრასეს“ მიმართულებით მიმავალ მატარებელში ჩასხდნენ და აღმოსავლეთ ბერლინში ნათესავების მოსანახულებლად გაემგზავრნენ.

ჩასვლისთანავე სადგურის შესასვლელთან ჩავლილ სახალხო არმიელებს ჰკითხეს, სად შეიძლებოდა ყვავილების ყიდვა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა რალაც უპასუხა, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გზა ეჩვენებინა, ძმებს უცნაურად მიაშტერდა. თუმცა, როგორც კი ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გადავიდნენ, მაშინვე იპოვეს მაღაზია. მისი დანახვა სადგურის გამოსასვლელიდანაც კი შეიძლებოდა და ჯარისკაცების კითხვის გარეშე მაინც მიაგნებდნენ.

დიდხანს ყოყმანობდნენ, ქოთნის ყვავილი

აერჩიათ თუ თაიგული. ბოლოს არჩევანი მაინც თაიგულზე შეაჩერეს, მიუხედავად იმისა, რომ მაღაზიაში სწორედ ქოთნის ყვავილები სჭარბობდა, თაიგულებისთვის კი მხოლოდ ორნაირი ყვავილები ჰქონდათ - თეთრი და ყვითელი ქრიზანთემები. სანამ ისინი ფიქრობდნენ, გამყიდველი სხვა კლიენტებს ემსახურებოდა. სტუდენტმა, რომელიც უფრო ენაწყლიანი იყო, გამყიდველს სთხოვა, აერჩია მათთვის ათი თეთრი და ათი ყვითელი ქრიზანთემა, ოღონდ ძალიან დამჭკნარი არა, და თაიგული ქალაქში გაეხვია. საკმაოდ მოზრდილი თაიგულით, რომელიც ხელში ხუროს ეჭირა, ქუჩა ახლა კიდევ უფრო ფრთხილად გადაკვეთეს და მიწისქვეშა გადასასვლელით სადგურის მეორე მხარეს გადავიდნენ, სადაც ტაქსის გაჩერება იყო. იქ უკვე საკმაოდ ბევრი ხალხი იცდიდა და ტაქსის გამოსაძახებელ ბოძზე ტელეფონი განუწყვეტილად რეკდა. ტაქსის მძღოლებს აზრადაც არ მოსდიოდათ ყურმილის აღება. მიუხედავად ამისა, მაინც არ გასულა დიდი დრო, სანამ ძმები, რომლებსაც, სხვე-

ბისგან განსხვავებით, ჩემოდნები და ჩანთები არ ამძიმებდათ, ტაქსიში ჩასხდებოდნენ. მანქანაში საკმაოდ თბილოდა. სტუდენტი უკან, თავის ძმას მიუჯდა გვერდით და მძლოლს აღმოსავლეთ ბერლინის ჩრდილოეთი ნაწილის მისამართი უთხრა. ტაქსის მძლოლმა რადიო გამორთო. მხოლოდ კარგა ხნის მგზავრობის შემდეგ მიხვდა სტუდენტი, რომ რადიო ტაქსიში საერთოდ არ იყო.

მან გვერდზე გაიხედა და დაინახა, რომ მის ძმას ორივე ხელით, ზედმეტად ფრთხილად ეჭირა თაიგული. ძმები ცოტას ლაპარაკობდნენ. ტაქსის მძლოლს არ უკითხავს, საიდან იყვნენ. სტუდენტმა ინანა, რომ თხელი, დაუთბილავი პალტოთი წამოვიდა, რომელსაც ყველაფერთან ერთად ქვედა ღილი ასწყვეტოდა.

ტაქსი რომ გაჩერდა, დღის სინათლე უფრო მომატებულიყო. მანქანის გარემოს თვალმიჩვეულ სტუდენტს გაუჭირდა გარეთ საგნების აღქმა. მხოლოდ მას შემდეგ, როცა საკმაოდ დაძაბა მზერა, შეამჩნია, რომ ქუჩის ერთ მხარეს მართო საბაღე ნაკვეთები და დაბალი ქოხები იყო, მეორე მხარეს კი, სახლები, რომლებიც, მისი აზრით, ქუჩიდან საკმაოდ მოშორებით იდგნენ. ქუჩასთან ახლოს ასევე, ძალიან დაბალი სახლებიც მოჩანდა. ბუჩქები და პატარა ხეები თრთვილს დაეფარა. სწორედ ამიტომ ჩანდა გარეთ ყველაფერი განათებული. ტაქსის მძლოლმა მგზავრებს, მათივე თხოვნით, ქვითარი გამოუწერა. საკმაოდ დიდხანს ეძებდა ქვითრების წიგნაკს, ამასობაში კი ძმებმა მოასწრეს იმ სახლის ფანჯრების შეთვალეირება, სადაც შესვლას აპირებდნენ. ქუჩაზე, სავარაუდოდ, მანქანები იშვიათად დადიოდნენ, ამიტომ გაჩერებული ტაქსი ყველას უნდა შეემჩნია. ნუთუ დეიდას ჯერ კიდევ არ მიუღია დეკემა, გუშინ დასავლეთ ბერლინის ფოსტიდან რომ გამოაგზავნეს? ფანჯრიდან არავის გამოუხედავს, არც რომელიმე სახლის კარი გაღებულა.

სტუდენტი ძმაზე ადრე გადმოვიდა ტაქსიდან, თან ქვითარს კეცავდა. ამასობაში მისი ძმა, რომელსაც ორივე ხელით ეჭირა თაიგული, მოუხერხებლად წამოდგა. სანამ ტაქსი მობრუნდებოდა, ისინი გარეთ ერთ-ერთი ბალის ლობესთან გაჩერდნენ. სტუდენტმა თითოთ გაისწორა თმები შუბლზე. მერე წინა ეზოს გავლით შესასვლელისკენ წავიდნენ. იქ ნომერი მიემაგრებიანთ, რომელიც სტუდენტის დეიდასთან გაგზავნილ ადრინდელ წერილებზე იყო მითითებული. ძმები ყოყმანობდნენ, რომელ მათგანს მიეჭირა ღილაკისათვის თითი. ჩუმი გადალაპარაკების შემდეგ ერთ-ერთმა, როგორც იქნა, გაბედა. ზარს სახლიდან საპასუხოდ არავითარი ხმაური არ მოჰყოლია. ისინი უკან ჩამოვიდნენ კიბეებზე და შესასვლელიდან ცოტა უკან დაიხიეს. უმცროსმა ძმამ ქალაქში გახვეული ყვავილების თაი-

გულიდან ერთი ქინძისთავი ამოაძრო, თუმცა ის არ გაუხსნია. სტუდენტს გაახსენდა, რომ როდესაც მარკებს აგროვებდა, დეიდა ბევრ განსაკუთრებულ მარკას უგზავნიდა ხოლმე გდრ-დან.

უცებ სახლის კარი ჩხაკუნით გაიღო. ძმებმა მხოლოდ მაშინ გაიგონეს ხმაური, როცა კარი უკვე შეღებული იყო. სადარბაზოში შესულებს ხმაური ისევ ესმოდათ. სადარბაზოში ორივე იღიმებოდა. უმცროსმა ძმამ თაიგულს ქალაქი შემოაცალა და პალტოს ჯიბეში ჩაიტენა. კარი მათ ზემოთ გაიღო, ყოველ შემთხვევაში ქვევიდან ასე ჩანდა. როდესაც ძმები იმდენად მალა ავიდნენ, რომ ბინაში შეხედვა შეძლეს, დეიდა უკვე ღია კარში იდგა და მათ ჩამოჰყურებდა. ქალის ქცევამ ორივე მიახვედრა, რომ დეკემა ჯერ წამდვილად არ ჩამოსულიყო. დეიდამ დაიყვირა - გრეგორიო, ასე ერქვა სტუდენტს, და მაშინვე უკან შევარდა ბინაში, თუმცა ისევ სწრაფად გამოვიდა და გადაეხვია სტუმრებს, რომლებიც ჯერ კიბის ბაქანთანაც არ მისულიყვნენ. ქალი ისე იქცეოდა, რომ გრეგორს დაავინყდა, რა აზრისა იყო ადრე მასზე, ახლა მხოლოდ იდგა და უყურებდა. შიშისა, თუ ვინ იცის, კიდევ რისაგან, დეიდას კისერი ჩავარდნოდა.

ქალი ბინაში შებრუნდა, კარებები გამოაღო, ტუმბოს კარიც კი, ფანჯარა დახურა, მერე სამზარეულოდან გამოვიდა და თქვა, რომ ახლავე ყავას მოადუღებდა. როცა ყველანი მისაღებ ოთახში დასხდნენ, მან მაშინლა შეამჩნია მეორე სტუმარი, რომელმაც შემოსასვლელში ყვავილები გადასცა და ახლა ცოტა არ იყოს უხერხულად იდგა ოთახში. სტუდენტის განმარტებას, რომ ეს მისი მეორე დისწული იყო, რომელიც, ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც ავსტრიაში შვებულებით იმყოფებოდა, ნანახი ჰყავდა, ქალმა იმით უპასუხა, რომ ჩუმად გავიდა სხვა ოთახში და საკმაოდ პატარა, არეულ ოთახში ძმები ცოტა ხნით მართო დატოვა.


ქალი რომ დაბრუნდა, გარეთ უკვე ჩამოხველებულიყო. ის ორივე დისწულს მოეხვია და თქვა, გარეთ, კიბეზე მისალმებისას კი გამიკვირდა, ჰანსმა - ასე ერქვა ხუროს - პირზე რომ მაკოცაო. მან ორივეს დაჯდომა შესთავაზა და ყავის მაგიდის გარშემო სკამები მოანესრიგა, თან ყვავილებისთვის ლარნაკს ეძებდა. ისიც აღნიშნა, რომ საბედნიეროდ, სწორედ დღეს შეიძინა ნამცხვარი („ვიყიდეს“ ნაცვლად „მოვიმარაგე“ რატომ თქვაო, - გაუკვირდა სტუდენტს). ოჰ, ეს ძვირიანი ყვავილები! - ნამოიძახა დეიდამ და იმის მოყოლა განაგრძო, თუ როგორ მიწვა ის-ის იყო დასაძინებლად, ზარი რომ გაისმა. სტუდენტი ფანჯრიდან იყურებოდა, ქალმა რომ თქვა: „იქითა მხარეს მოხუცთა სახლიაო“. მან ჰკითხა ძმებს, მასთან დარჩენას აპირებდნენ თუ არა. ჰანსმა უპასუხა, რომ დასავლეთ ბერლინში უკვე ისადილეს და მას შემდეგ,

რაც ჩამოთვალა, იქ რაც ჭამეს, დაარწმუნა დეიდა, რომ ნამდვილად მაძღრები იყვნენ. ლაპარაკისას ჰანსმა ხელი მაგიდაზე დადო და ქალმა შეამჩნია ნაიარევი ნეკა თითი, რომელიც ერთხელ ჰანსმა უყურადღებობის გამო მოტოხერხით ჩამოითალა. მან არ დააცადა სათქმელის დამთავრება და გააფრთხილა, რომ რადგან ერთხელ უკვე ნაუმტვრევი კისერი, მუშაობისას უფრო მეტი ყურადღებით უნდა იყოს. სტუდენტს, რომელსაც შემოსასვლელში ჩამოართვეს პალტო, კიდევ უფრო შესცივდა, როდესაც უკან მიიხედა და დაინახა სანოლი, საიდანაც ქალი ეს-ესაა ნამომდგარიყო. დეიდამ შეამჩნია, როგორ აუძაგაგადა ბიჭს მხრები და უკან ელექტროლუმელი დაუდგა, თან აუხსნა, რომ როცა მას სცივა, უბრალოდ წვება ხოლმე.

სამზარეულოში ჩაიდან უკვე კარგა ხანია უსტვენდა, მაგრამ ხმა არ გაძლიერებულა. იქნებ მათ უბრალოდ ვერ გაიგეს, როდის დაიწყო სტვენა. ყოველ შემთხვევაში, სავარძლების სახელურები, და ქსოვილიც, რომელიც სავარძელზე იყო გადაკრული, ისევ ცივი იყო. რატომ „ყოველ შემთხვევაში“ - გაიფიქრა ცოტა ხნის შემდეგ სტუდენტმა, რომელსაც ორივე ხელში ყავით სავსე ფინჯანი ეჭირა. ქალმა სტუდენტს სახის გამომეტყველების საპასუხოდ სასწრაფოდ ჩაუსხა ყავაში რძე. სტუდენტის ნათქვამი მომდევნო წინადადება კი - დეიდას ტელევიზორი ჰქონია სახლშიო - ისე გაიგო, რომ სარძევეთი ხელში ერთი ნაბიჯი ტელევიზორისკენ გადადგა და ჩართო. სტუდენტმა თავი დახარა და ყავაში რძის ნაღების დიდი ნაფლეთები დაინახა, რომლებიც ზედაპირზე ამოსულიყო. ძმას გახედა და მიხვდა, რომ მასაც იგივე შეგრძნება ჰქონდა: დიახ, ნამდვილად ასე იყო. ამ მომენტიდან ის ცდილობდა, აღარ აღენიშნა, რასაც დაინახავდა ან გაიგებდა, იმის შიშით, რომ დეიდა ამას თავისებურად ახსნიდა. ტელევიზორმა შიშინი კი დაიწყო, მაგრამ სანამ გამოსახულება ან ხმა გამოჩნდებოდა, ქალმა ის გამორთო და ძმებს გვერდით მიუჯდა. თან ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. ახლა დაიწყება სერი! - ამ წინადადების გაფიქრებაზე დაიჭირა თავი ნახევრად გამხიარულბულმა და ნახევრად დაბნეულმა სტუდენტმა. იმის ნაცვლად, რომ ჯერ ნამცხვარი მოეკბინა და ნამცხვრის ლუკმისათვის ყავა მიეყოლებინა, პირი ყავით გაივსო, თანაც ჩაყლაპვის ნაცვლად ჯერ კბილებში გაიჩერა, ისე რომ როდესაც ნამცხვრის მოსაკბენად პირი გააღო, სითხე უკან ჩაიღვარა ჭიქაში. სტუდენტს ოდნავ მოხუჭული ჰქონდა თვალები. იქნებ ამის გამო აურიო. ახლა კი, როდესაც თვალები გაახილა, დაინახა, რომ დეიდა ჰანსს შეჰყურებდა, რომელიც მოუქნელი ჟესტით, მთელი ხელით დასწვდა შოკოლადის ორცხობილას და, ქალის დაძაბული მზერის ქვეშ, პირში ჩაიტენა. „ეს შეუძლებელია!“ -

ნამოიძახა სტუდენტმა, უფრო სწორად, ეს ქალმა წარმოთქვა, როცა ტუმბოზე დადებული წიგნი აჩვენა - ცნობილი ქირურგის ბიოგრაფია, - მაშინვე გამოასწორა სტუდენტმა თავისი საქციელი. სანიშნის როლს წმინდანის სურათი ასრულებდა. არ ღირდა ამის გამო აღელვება.

უკვე საკმაო ხანი საუბრობდნენ და ისეთი გრძობა დაეუფლათ, თითქოს საერთოდ არ ისხდნენ მაგიდასთან, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს სად ზიხარ. რაც უფრო დიდხანს ლაპარაკობდნენ, მით უფრო იშვიათად უყურებდნენ ერთმანეთს და მით უფრო ჩვეულებრივი ეჩვენებოდათ სტუმრებს ატმოსფერო. სიტყვა „ჩვეულებრივს“ ისინი უფრო და უფრო ხშირად წარმოთქვამდნენ საუბრის დროს. სტუდენტს კარგა ხანს ეჩვენებოდა დეიდის ლაპარაკი უცნაურად. ახლა კი, ოთახში სითბოს მომატებასთან ერთად, მას შეეძლო, ყველაფერი, რასაც ქალი ლაპარაკობდა, დაწერილი წარმოედგინა, დაწერილი კი დამაჯერებლად ეჩვენებოდა. ოთახში მაინც ისე ციოდა, რომ ყავას, რომელიც ამასობაში გაგრილებულიყო, ორთქლი ასდიოდა. სტუდენტი სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა საკუთარ აზრებს. გარეთ მანქანები არ დადიოდნენ. დეიდის ნათქვამები კი უმეტესად იწყებოდა სიტყვით „გარეთ“. კარგა ხნის შემდეგ სტუდენტმა ქალს ლაპარაკი შეანწყვტინა, შემდეგ კი ბოდიში მოუხადა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მას სათქმელი არაფერი ჰქონდა. საუბრის განახლება აღარავის უნდოდა, რასაც შედეგად დუმილი მოჰყვა, რომელიც უცებ ხურომ დაარღვია იმის მოყოლით, რომ მალე ის ჯარში წავიდოდა. ჰანსი დეიდისთვის უცნობ დიალექტზე ლაპარაკობდა, ამიტომ ქალს მისი ნათქვამი ჩაესმა როგორც „მოპიკერე ბომბდამშენები უნგრეთიდან“ და შეჰყვირა. სტუდენტმა დეიდა იმით დააწყნარა, რომ საუბარში რამდენჯერმე გაურია სიტყვა „გარეთ“, და ისიც შეამჩნია, რომ ამ წუთიდან ქალი მის მიერ წარმოთქმულ ყოველ წინადადებას მაშინვე იმეორებდა, თითქოს ყურებს აღარ უჯერებსო. ეს კიდევ არაფერი, ის სტუდენტს ზოგიერთი წინადადებების დასაწყისშივე უქნევდა თავს, რამაც ყმაწვილს ნელ-ნელა თავდაჯერებულობა დააკარგვინა და ერთხელ წინადადების დასრულებაც კი ველარ შეძლო. ამას მოჰყვა დეიდის მეგობრული სიცილი და „გმადლობთ“, თითქოს სტუდენტი მას საჭირო სიტყვით კროსვორდის ამოხსნაში დახმარებოდა. სტუდენტმა ცოტა ხნის შემდეგ მართლაც შენიშნა ფანჯრის რაფაზე აღმოსავლეთ ბერლინის გაზეთის „ბეცეტ ამ აბენდ“-ის ერთი გვერდი აქა-იქ შევსებული კროსვორდით. ცნობის-მოყვარეობით შეჰყრობილმა დეიდას კროსვორდის ნახვის ნებართვა სთხოვა, უფრო სწორად, უთხრა, თვალს გადაავალე, მაგრამ ნახა, რომ მისი კითხვები თითქმის არ განსხვავდებოდა



ჩვეულებრივისაგან, მხოლოდ ერთგან ითხოვდნენ „ახლო აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოს“ სახელს, და გაზეთი ძმას მიანოდა, რომელმაც მაშინვე დააპირა მისი შევსება, მიუხედავად იმისა, რომ დილით უკვე შეავსო დასავლეთ ბერლინის ყურნალის „შტერნის“ კროსვორდი; თუმცა სტუდენტი ჰანსმა კი არ დააბნია, რომელიც ფანქარს ეძებდა, არამედ ფანჯრის ცარიელმა თარომ და გალიზიანებულმა სთხოვა ძმას გაზეთი „თავის ადგილზე“ დაებ-

რუნებინა. ფორმულირება „თავის ადგილზე“ იმდენად სასაცილოდ მოეჩვენა, რომ მეტი არაფერი უთქვამს, მხოლოდ წამოდგა, თქვა გავიხედ-გამოვიხედავო და კარისაკენ წავიდა. უფრო სწორად, დეიდა გავიდა და ის კი უკან მიჰყვა, ვითომცდა სხვა ოთახებში შესახედად. სინამდვილეში კი... სტუდენტმა აღმოაჩინა, რომ გერმანიის ტელევიზია უფრო ხშირად ხმარობდა სიტყვას „თითქოს“, ვიდრე აქამდე ჰქონდა შემჩნეული ტელევიზორის ყურებისას. სიმართლე

კი ის იყო, რომ იქ ეს სიტყვა საერთოდ არ უხსენებიათ.

ყველგან ერთი და იგივე სურათია. „ყველგან ერთი და იგივე სურათია“, - თქვა ქალმა, თან სტუდენტს სამზარეულოს კარი გაუღო. „აქ შიგნითაც ცივა“, - უპასუხა სტუდენტმა. „იქ შიგნითაც“, - შეუსწორა ქალმა. „რას აკეთებთ გარეთ?“, - იკითხა ჰანსმა, რომელიც მათ კროსვორდით ხელში დერეფანში გამოჰყვა. „შიგნით შევიდეთ!“, - თქვა სტუდენტმა. „რატომ?“, - იკითხა ჰანსმა. „იმიტომ, რომ მე ვამბობ“, - უპასუხა სტუდენტმა. არცერთს ხმა არ ამოუღია.

მისაღებ ოთახში გასულეხს, სადაც, როგორც ქალმა თქვა, მათ ყავა ელოდათ, სამზარეულოდან ქვაბების რახარუხის ხმა შემოესმათ, რომელიც სოფლის კეგლის სათამაშო მოედნიდან უღრან და ცოტა არ იყოს იდუმალეებით მოცულ ტყეში ბურთის ჩამოვარდნის შორეულ ხმას ჰგავდა. სტუდენტმა, რომელსაც თავში ეს შედარება მოუვიდა, ჰკითხა დეიდას, როგორ შეიძლებოდა მოსვლოდა თავში ასეთი რამ, როცა მთელი ცხოვრება ქალაქში აქვს გატარებული. თანაც გაახსენდა იგივე გამოთქმა პოეტ ჰუგო ფონ ჰოფმანსტალის* წერილიდან. თუმცა შედარების ობიექტს, პოეტთა აკადემიაში მონაწილეობის მონვევას, სამზარეულოდან მისაღებ ოთახში შემოსული ქვაბების რახარუხს ვერც შეადარებდი.

სტუდენტმა, მიყურადების მიზნით, თავი გვერდზე გადასწია, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ დეიდა, რომელიც ცდილობდა, არ გამოჰპარვოდა სტუმრების უმნიშვნელო საქციელიც კი, იმის მომიზეზებით, რომ აივანზე ჩიტებისათვის ცოტა ნამცხვარი უნდა დაეყარა, ნამცეცებით ხელში მეორე ოთახში გავიდა, იქიდან კი, როგორც მან მობოდიშებით დაიძახა, აივანზე მოსახვედრად. სტუდენტს აზრმა გაჰკრა, რომ სამზარეულოში ატეხილი ქვაბების რახარუხი ჩიტების ამბავი უფრო იყო, რომლებიც წინდახედული დეიდის მიერ აივანზე გატანილ ღუმელის ტაფაზე დახტოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ საკვების აკენკვას. ძმები ცოტა არ იყოს შეცბუნებულები უყურებდნენ დეიდას, რომელიც ბუნებრივად მიდი-მოდიოდა გარეთ, აივანზე. შეცბუნებულები იმიტომ, რომ ვერ იხსენებდნენ, ოდესმე ენახათ თუ არა გარეთ გასული ქალი, თავად მაყურებლებივით შიგნით მსხდომთ. უცნაური სპექტაკლი იყო. სტუდენტს შეეშინდა, როდესაც მოთმინებადაკარგულმა ჰანსმა უკვე მერამდენედ ჰკითხა „ერკერის“ სინონიმის შესახებ; „აივანი“ უპასუხა დეიდამ, თან სწორედ ამ დროს ერთ-ერთ თავის ალბომში სტუდენტისთვის რომელიღაც სურათს ეძებდა. „ლოჯია“, - მოსწრებულად მიუგო სტუდენტმა, ისე რომ დე-

იდას სიტყვის დასრულებაც აღარ დააცალა და იმდენი დრო მოანდომა ღრმად ამოსუნთქვას, სანამ შვებას იგრძნობდა. კიდევ ერთხელ გაუმართლა. ქალაქის ხელსახოცმა ერთბაშად შეინოვა გადმოქცეული ყავა.

არცერთს სიტყვა არ დაუძრავს, თუმცა სამივე მანც ფოსტალიონზე ფიქრობდა, რომელიც ჯერაც არ მოსულიყო. მაგრამ, როგორც გამოირკვა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი ნაშუადღევი იყო, დეიდას ჯერაც არ ენახა საფოსტო ყუთი. ჰანსი გასაღებით ხელში ქვემოთ ჩაუშვეს. „რა უცნაურად უჭირავს ხელში გასაღები“, - გაიფიქრა სტუდენტმა. „უკაცრავად?“ - დაბნეულად იკითხა დეიდამ. ჰანსი კი უკვე უკან შემოვიდა მისაღებ ოთახში, გასაღები ისევე ისე ეჭირა ხელში, როგორც გასვლისას. „მუშა მისაღებ ოთახში!“, - ნამოიძახა სტუდენტმა, რომელსაც გახუმრება უნდოდა. არავინ შეპასუხებია. „ცუდი ნიშანია“, - გაიფიქრა სტუდენტმა. თითქოს დასცინისო, ფეხებზე კატა გაეხახუნა, რომელიც აქამდე არც კი შეუმჩნევია. დეიდა კი ამასობაში მოხუცი ქალბატონის გვარს ეძებდა, ქალბატონისას... მოხუცი ქალბატონის გვარს ნამდვილად არისტოკრატიული ტიტული ჰქონდა. საბედნიეროდ, ავსტრიაში არისტოკრატიული ტიტულები გააუქმეს.

ამასობაში გარეთ ჩამობნელდა. სტუდენტმა დილის გაზეთ - „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტიუნგში“ წაიკითხა იაპონური ლექსი შებინდების შესახებ: „მატარებლის გამყინავი სტვენა ირგვლივ ჩამონოლილ ბინდს კიდევ უფრო აძლიერებდა“. მატარებლის გამყინავი სტვენა ირგვლივ ჩამონოლილ ბინდს კიდევ უფრო აძლიერებდა. რა თქმა უნდა, ქალაქის ამ ნაწილში მატარებელი არ დადიოდა. დეიდამ რამდენიმე სახელი მოსინჯა, ჰანსი და გრეგორი კი მას მისჩერებოდნენ. ბოლოს წინ, მაგიდაზე დაიდო ტელეფონი და ხელი დაადო. თან ისე, რომ ყურმილი არ აუღია, შეჭმუხნული შუბლით მანც მოხუცი ქალბატონის გვარის ძებნას განაგრძობდა ანბანის მიხედვით და წიგნს ფურცლავდა. როცა დეიდას ყურმილი უკვე ხელში ეჭირა და ლაპარაკობდა, სტუდენტმა შენიშნა, რომ პარალელურად დეიდა მას ფოტოს აჩვენებდა, პატარა ბიჭის ფოტოს რეზინის ბურთით ხელში, საიდანაც ის იყურებოდა „მშობლების გვერდით ფოტოატელიეში მჯდომი“. მეორე სურათი, რომელიც დეიდას შემთხვევით იატაკზე დაუვარდა, ასე გამოიყურებოდა:

„მორბენალი, გაჩერებული, მწოველი...“, - როგორც ყოველთვის, სტუდენტს თავში ზმინისაგან წარმოებული ამ ფორმის სიტყვები მოს-

* ჰუგო ფონ ჰოფმანსტალი - ავსტრიელი მწერალი (1874-1929).

დიოდა, როდესაც ფოტოებს ან სურათებს უყურებდა; მაგალითად: „მშობლების გვერდით ფოტოატელიეში მჯდომი“.

გარკვეული ხნის დუმილის შემდეგ, ყურზე მიდებული ყურმილით ხელში, დეიდამ, რომელიც ტელეფონში მოსაუბრე პიროვნებას, „თქვენობით“ მიმართავდა, რაც ყველა მათგანზე ძალიან დამამშვიდებლად მოქმედებდა, უცებ ყურმილში ჩაჰყვირა „შენ“. ამან სტუდენტი ისე შეაშინა, რომ უეცრად ილღიებიდან ოფლი გამოუვიდა, და რადგან ძალიან ექავებოდა კანი, ფხანა დაიწყო, რა დროსაც, შენიშნა, რომ მის ძმასაც იგივე დამართნოდა, რადგან ისიც გამალებული იფხანდა ილღიებს.

მეტი აღარაფერი მომხდარა. ოღონდ, დარეკვის შემდეგ, დეიდის ძმა და მისი ცოლი აღმოსავლეთ ბერლინის სხვა ნაწილიდან წამოვიდნენ და სულ მალე, ისე რომ სახლის ქვედა კარზე არც კი დაურეკავთ, ნაცნობებივით პირდაპირ ოთახის კარზე დააკაკუნეს, რათა კიდევ ერთხელ ენახათ ავსტრიიდან ჩამოსული ნათესავები. ქალმა აივნის ოთახიდან ახალმოსულეებისთვის ორი სკამი გამოიტანა და ამის შემდეგ სამზარეულოში ყველას დაუსხა ჩაი. ქვაბები ჩხარუნობდნენ, ბიძა, რომელსაც ასთმა აწუხებდა, მაგრად იბრაგუნებდა ხელს მკერდზე. მას შემდეგ, რაც დასავლეთ ბერლინელ სტუდენტებზე დაიწყეს საუბარი, მისმა ცოლმა განაცხადა, რომ ყველა მათგანს სათითაოდ ითრევდა თმებით. საპირფარეოდან დაბრუნებულ ხელდაბანილ სტუდენტს, ამასობაში ისე გაუშრა ხელები, რომ დეიდას კრემი სთხოვა. ამ უკანას-

კნელმა კი პასუხად სტუდენტს და მის ძმას დამატებით სუნამო „ტოსკა“ მიაფრქვია, რომელიც იმ მოხუც ქალბატონს მოეტანა მისთვის ბოლო სტუმრობისას, ვისი სახელიც ვერა და ვერ გაიხსენა. მალე წასვლის დროც დადგა, რადგან სტუმრების აღმოსავლეთ ბერლინის ვიზებს ვადა შუალამისას გასდიოდა. ბიძამ ტაქსის გაჩერებაზე მდგარ ტელეფონზე დარეკა, თუმცა არავის აუღია ყურმილი. მიუხედავად ამისა, ყოველივე განცდილის გამო სტუდენტი თავს მშვიდად გრძნობდა. ბიძა, რომელსაც ხელში ისევ ყურმილი ეჭრა და არეკინებდა, და მისი ცოლი, ოთახში დატოვეს და სტუმრები, უკვე პალტოებით, დეიდასთან ერთად დერეფნისკენ გაეშურნენ. კარის სახელურს ხელი მოჰკიდეს და ცოტა ხანს კიდევ შეიცადეს - იქნებ ტაქსის გაჩერებიდან ეპასუხა ვინმეს, და ამასობაში ისინი უკვე კიბეზე ჩამოვიდნენ. დეიდა ბიჭების შუაში იდგა, როდესაც...

არავითარი „როდესაც“.

დეიდასთან ერთად, რომელმაც ორივეს ხელკავი გაუყარა, სიცვიისაგან აკანკანებული კბილებით ტრამვაის გაჩერებისკენ წავიდნენ. ქალმა მათ მონეტები ჩაუდო ხელში ტრამვაისთვის, რადგან ძმებს ხურდა ფული არ ჰქონდათ. ტრამვაი მოვიდა და ისინი სწრაფად ჩასხდნენ შიგ, რომ დროზე მისულიყვნენ სადგურ „ფრიდრიჰ-შტრასეზე“, თან გარეთ მდგარ დეიდას ხელს უქნევდნენ.

უკვე ძალიან გვიანი იყო, როცა სტუდენტმა შეამჩნია, რომ ტრამვაიში საერთოდ არ ჩამსხდარიყვნენ.



ენ კარსონი

კვლავ ფლობერი

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



საგნები უეცრად ძირს ცვიოდნენ და იმსხვრეოდნენ. ან იშლებოდნენ. ავტომანქანები სწორი კურსიდან უხვევდნენ. ძაღლები უღონოდ ეცემოდნენ ძირს. უახლოეს უდაბნოში იმ დღეებში ბგერით ზემოქმედებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები ტარდებოდა. მთელი დანარჩენი ცხოვრების განმავლობაში შემრჩა ეს შფოთვაო, წერდა ქალი. რომანისტი იყო და გარკვეულ ნარმატებებსაც მიაღწია, მაგრამ ყოველთვის სურდა, შეექმნა ახალი ტიპის რომანი. თუმცა თანდათან ხვდებოდა, რომ ყველა რომანისტი ამაზე ოცნებობდა, მაგრამ მაინც არ კარგავდა ამგვარი რომანის დანერის იმედს. მის შესახებ არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ გულწრფელად და მკაფიოდ უნდა გამოეხატა სათქმელი. რაც მას უნდა დაენერა, ახლა მე ვნერ.

მისი სილუეტი იმსხვრევა და უჩინარდება. სად განათავსებდით მესამე ხელსო, ეკითხებიან ცდისპირებს შემოქმედებითი უნარების შეფასებისას. ყოველ შემთხვევაში, ასე გამიგონია. იქნება თუ არა ახალი ტიპის რომანი მესამე ხელის მსგავსი? მაღიზიანებს ეს სიტყვა - შემოქმედებითი უნარები. რა თქმა უნდა, ისე არა, როგორც მესამე ხელი გამაღიზიანებდა. შემოქმედებითი უნარები კი არ მატულობს, არამედ სულ უფრო იკლებს. ბარტი ისე გარდაიცვალა, რომ ეს ტერმინი არ განუმარტავს. გამახსენდა ფლობერის და სხვათა მცდელობები. სხვებიც უარყოფდნენ შემოქმედებითი უნარების არსებობას, ისე, რომ არც კი ესმოდათ ამ ტერმინის მნიშვნელობა. სავარძელი, რომელშიც ვზივარ.... მისი უცნაური ნახჭები... უკანა პარმალიდან ზამ-

თრის გამო შინ შემოტანილი ძველი მონწული სავარძელი... საბანში გახვეული აქ ვზივარ, ლამპასთან, უზარმაზარი შავი ფანჯრების გვერდით, ამ დეკემბრის ღამით, დილის ოთხის ნახევარზე. მინაში სამზარეულო ირეკლება. მინა იმდენად ცივია, რომ შეხების სურვილი არ მიჩნდება. სამზარეულოს დამაყრუებელი სიჩუმე ღამით... ჩემი სავარძლის ქრიალი...

ახალი ტიპის რომანს არ უნდა ჰქონდეს ძველის ნიშან-თვისებები - სიუჟეტი, ფინალი. ის არ უნდა ანიჭებდეს მკითხველს მწერლის ჩანაფიქრის მიხედვრის სიამოვნებას. საჭიროა არა ამ ნიშან-თვისებების უარყოფა, არამედ - გაუქმება. უარყოფა, თავისთავად, უსუსურია, რეაქტიული, ეგოისტური. თუკი ოდესმე მართლაც დავწერ, წერა მთლიანად შთანთქავს და წაშლის ყოველივეს. ჩემი ქმნილების მსგავსი ვიქნები, მაგრამ ეს ქმნილება არ იქნება სამოთხის, ჯოჯოხეთის, ქაოსის, სამყაროს, ტროის ომის ან სიყვარულის ისტორია. ის, უბრალოდ, ჩემი თვითგამოხატვა იქნება. ტექსტში არ მოიძებნება იმის დამადასტურებელი ხარვეზები, რომ ავტორმა სრულად ვერ გამოხატა სათქმელი. იმის თქმა მინდა, რომ ეს იქნება ისტორია არაფრის და, იმავდროულად, ყველაფრის შესახებ. მაგრამ ახლა, როდესაც ბუნდოვნად ვგრძნობ, რომ მეტ-ნაკლებად ზუსტად ვიმეორებ ფლობერის სახელგანთქმულ წერილში* გამოთქმულ აზრებს (ყველა მაშინვე მათ იმონებებს, როდესაც ამგვარი რომანის დანერის სურვილი უჩნდებათ), ვიცი: უკან მოვიტოვე ემოციები, მკაფიოობა, ლოგიკური დედაზრი - ყოველივე ის, რაც ჩემი საკუთარი იყო (თუმცა, „საკუთარი“ იგივეა, რაც „სხვისი“). ახლა ჩემი „მე“ ცარიელია, უგონო, ბუნდოვანი... უეცრად კვლავ დავინახე აჩრდილი, რომელმაც ადგილი დამითმო... მან უკან დაიხია და ოდნავ გასაგონი ჩქამით გაუჩინარდა, შემდეგ განთიადმა ჰაერი ცისფრად შეაფერადა. და კვლავ:

თვით ამ გაჭიანურებული ღამესავით შემცივნებული და დაღლილი, წამოვდექი და საბანი დავკეციე. მინდოდა მშვიერი ვყოფილიყავი, მაგრამ არ მშვიოდა. მსურდა, ბანაობა მომწოდებოდა, მაგრამ სურვილი არ მიჩნდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ როგორც კი ქაფქაფა წყალში ვწვებოდი; წამიერად ვუბრუნდებოდი ბავშვობას. აი, ისევე ხუთი წლისა ვარ. კვი-

რადლის საღამოა. მეშინია. რისი მეშინია? არ ვიცი. სკოლისა, სადაც ორშაბათს უნდა წავიდე? მაგრამ სკოლაში სიარული მიყვარდა. ან, შესაძლოა, თავიდან არ მიყვარდა. მოგვიანებით შემეყვარდა. ყველა შემთხვევაში, ტვინსა და სხეულში შიშის ყოვლისმომცველი ნაკადი, ერთი დიდი, მხურვალე ტალღა მომედო. ეს იყო - შესაძლოა - დროის განცდა, რომელსაც მიჰქონდა სხეული კვირა ღამიდან ორშაბათ დილაამდე, შემდეგ - მომდევნო ორშაბათ დილაამდე, და ასე უსასრულოდ, ნებისით თუ უნებლიეთ. აურაცხელი წუთები აიძულებს სხეულს, გადაინაცვლოს ამ წუთიდან იმ წუთამდე, ერთფეროვნებიდან ერთფეროვნებამდე, მოქმედებიდან მოქმედებამდე, სანამ არ განადგურდება. ესაა აუტანელი, შეუქცეველი, გამანადგურებელი მოძრაობა წინ, წყვილიადმი - მაგრამ, რა არის ეს წყვილიადი? და განა სხეული (ხუთი წლის ასაკში) ძალზე ნორჩი არ იყო, რომ ყოველივე ეს აეტანა? შეიძლებოდა თუ არა თავის დახსნა? ვისთვის უნდა მეთხოვა შეწევნა? სად იყო მტრული ძალები, სად? და რა იყო ეს მძაფრი, მხურვალე აღგზნება, როდესაც სხეული აბაზანაში თითქოს გამჭვირვალე ხდებოდა და მღეროდა? შემდეგ ყველაფერი მთავრდებოდა. როდის უჩნდება ამ მდგომარეობაში მყოფ ბავშვს განსხვავებული განცდები? არის თუ არა ბავშვობა უბინო? სად მთავრდება ბავშვობა - სადაც სრულიად ახლებური განცდების მოლოდინი იწყება? თვით უბინოება გამსჭვალულია ეგოტიზმით, როდესაც მგზნებარე, მტკიცე, პატარა „მე“ მოითხოვს, რომ „მე“-დ დავრჩე. და საამისოდ საჭირო სიტყვებს პოულობს. რომ შემეძლოს სიტყვების პოვნა, შევძლებდი, მათთვის რეალურობა მიმენიჭებინაო, გავიფიქრე. სწორედ ასეთ წუთებში ხდები მწერალი.

თავდაპირველად ენერგიამ, რომელიც აუცილებელი იყო ახალი „მე“-სთვის, დაჩრდილა მღელვარება და კითხვები: რა დავწერო? ვის სჭირდება, რომ ვწერო? დავწერე ჩემი მეგობრის, მარტას შესახებ, რომელსაც შემთხვევით უამრავი მონეტა დაუცვივდა ბიბლიოთეკაში. დავწერე, თუ როგორ წავედი შობადღეს ეკლესიაში დედამთილთან ერთად. დავწერე თოვლის შესახებ. როდესაც თოვლის აღწერა დავინწყე, ჩემი ნაწერი არ მომეწონა. და წინადადებები მომაჩერდნენ თავიანთი, ცარიელი, ულ-

* იგულისხმება 1852 წლის 16 იანვარს ლუიზა კოლესადმი ფლობერის მიერ გაგზავნილი წერილი (16.01.1852), სადაც მწერალი აღიარებს: „მინდა დავწერო წიგნი არაფრის შესახებ - წიგნი, რომელსაც არავითარი გარეგანი საყრდენები არ ექნება და რომელიც მხოლოდ სტილის შინაგანი ძალით შეინარჩუნებს თავის სიმყარეს, ისე, როგორც დედამინა ინარჩუნებს მყარ მდგომარეობას ყოველგვარი საყრდენის გარეშე; ასეთ წიგნს თითქმის არ ექნება სიუჟეტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, სიუჟეტი თითქმის შეუმჩნეველი იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ყველაზე უფრო მშვენიერი ის ნაწარმოებებია, სადაც მატერია მინიმალურად შეიგრძნობა; რაც უფრო მეტად უახლოვდება გამოხატულების პლანი აზრს, რაც უფრო მეტად უჩინარდება სიტყვა აზრთან შერწყმისას, მით უფრო მშვენიერია. ვფიქრობ, მომავლის ხელოვნება ამ გზით წავა“ (მთარგმნ.).

მოხელი შემზარავი სახეებით. ეს ნუმიზმატიკური ბიბლიოთეკა იყო-მეთქი, მინდოდა დამემატებინა, მაგრამ წინადადებებს არ ვებრალეობდი. პრიმიტიული სიცრუეა, რასაც მარტას შესახებ წერ, შეჩერდიო, ყვიროდნენ წინადადებები. კვლავ თოვლზე წერო? - მქირდავდნენ. შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ვწერდი დედამთილისა და შობადის შესახებ - მომწონდა ეს ამბავი. ვფიქრობდი, რომ კარგად აღვწერე, თუ როგორ იჩოქებდნენ მლოცველები ეკლესიაში.

ქადაგების დროს ფეხები გადავაჯვარედინე, მაგრამ ამ პოზაში უხერხულად ვიგრძენი თავი. ერთხელ ბერლინში, ვახშმობისას, იმ კაცის გვერდით ვიჯექი, რომელიც ლუკმა-პურს იმით შოულობდა, რომ გერმანელი გამომცემლისთვის ამერიკულ კრიმინალურ ლიტერატურას თარგმნიდა. სამსახურიდან დაითხოვეს... ვერაფრით მოვიფიქრე წინადადებისთვის - „მან ფეხები გადააჯვარედინა“, რაიმე არაუხამსი გერმანული შესატყვისი. ნუთუ არ არსებობს? ვაკვირდებოდი ჩემს ფეხებს და ვხედავდი მხოლოდ ორ წვეტიან მუხლს, რომლებსაც შავი წინდები შემოტმასნოდა. იქაურობა მალულად შევათვალე და მივხვდი, რომ ფეხები არავის ჰქონდა გადაჯვარედინებული. ეკლესიისნაირად გილებში ყველა იცავს ქცევის წესებს? ამ წესების შესახებ ხომ არ მსჯელობდნენ, სანამ შემოვიდოდი? ეკლესიაში ერთმანეთის მიბაძვით ვიქცევით წესიერად. რძალ-დედამთილს შორისაც ასე ხდება. ჩვენ, ყველანი, ვბაძავთ წესების მცოდნე ადამიანებს. „ყოველთვის ვიგონებ საკუთარ თავს“ (სარტრი). შობისთვის საჩუქრად მივიღე წიგნი ეგზისტენციალისტების შესახებ - იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც კიცხავენ მიბაძვას, და რომლებსაც ყოველგვარი სავალდებულო წესები გულს ურევთ. ახლა მეორე ფეხი გადავიდე ფეხზე. რა მნიშვნელობა აქვს, გადავაჯვარედინებ თუ არა ფეხებს? განა სწორი ხაზები, ეთიკური თვალსაზრისით, უმჯობესია, ვიდრე მრუდები? რატომ ვუნოდებთ ჯიბგირებს „ხელმრუდებს“? გამახსენდა, როგორ ვსწავლობდი სკოლაში პითაგორას. ძველ ფილოსოფოსს. არაეგზისტენციალისტს. პითაგორამ შეადგინა ყველაფრის ნუსხა, რაც კი ამქვეყნად არსებობს. ეს ნუსხა ორი სვეტისგან შედგებოდა. მარჯვენა სვეტში ჩანერა: სიკეთე, მამაკაცი, სინათლე, ზღვარი, სწორხაზოვანი, მყარი; მარცხენაში: ბოროტება, ქალი, სიბნელე, უსაზღვრო, მრუდი, არამყარი. წესიერება შიშს გულისხმობს. ოჰ, ეს ტროელი ელენე! განა სწორად იქცეოდა? ალბათ, არა. ნებისმიერ მამაკაცს შეუძლია ცხოვრება გაუმრუდოს ქალს, და ნებისმიერი მამაკაცი სჩადის ამასო, თქვა სუინიბ.

სარტრს მოეწონებოდა სუინი. წესიერება შიშს გულისხმობს. წინადადებები - სულელური

გამოგონებაა. პითაგორას დროიდან მოყოლებული, სიმრუდე და ოდინდელი სიძულვილი ქალებისადმი ხორცშესხმული იყო სულელურ წინადადებებში, რომლებიც მსჭვალავდა ისტორიას, ფილოსოფიასა და რომანებს... უეცრად გამახსენდა, როგორ დაუცვივდა მონეტები მარტას ნუმიზმატიკის ბიბლიოთეკაში. მათი ცვენის ხმა სწორედაც რომ მონეტების ცვენის ხმას წაგავდა და სხვას არაფერს. მხოლოდ მონეტები წკრიალებენ ასე. ნუმიზმატიკა დაუბღვირა. მარტას მხოლოდ მოგვიანებით გაეცინა, იმ ნუთს კი სიცილისთვის არ სცხელოდა. დედამისი იწვა საავადმყოფოში, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. გონს მოდიოდა ცხრასათიანი ოპერაციის შემდეგ. ან არ მოდიოდა გონს. მარტას სურდა, რომ ნუმიზმატს ეს სცოდნოდა. მგონი, მარტა კიბის ბაქანზე ტიროდა. ერთხელ მე და მარტა ერთად გავემგზავრეთ საბერძნეთში, მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაზე. სანამ იქ ვიყავით, არაფერს ვწერდი, მხოლოდ ესკიზებს ვხატავდი ალბომში. ყველა ესკიზს „წყლიანი ჭიქა“ დავარქვი, ისე, თითქოს საბერძნეთში გამუდმებით წყლიანი ჭიქა მედგა თვალწინ და სულაც არ ვფიქრობდი რომანის ახალი სახეობის ან თუნდაც რამდენიმე არასულელური წინადადების შეთხზვაზე. ესკიზები მულტიფილმის კადრებს წაგავდა. მათზე რუს პოეტს წყლიანი ჭიქა კიბეზე აჰქონდა, თურქი კიპრიოტი რომანისტი წყალს ორ ჭიქაში ასხამდა, ესპანელ მწერალს კი წყლიანი ჭიქა საუზმის შემდეგ მაგიდაზე, უამრავი ტოსტის უკან დავინყებოდა. ტოსტების დახატვა გამიჭირდა. პერუელმა პოეტმა მითხრა, რომ ვიდუოფირზე გადაღებული ჰქონდა, როგორ სვამდა მისი ლამა ჭიქიდან წყალს. გამიხარდა, რადგან ლამებს კარგად ვხატავდი. ნობელის პრემიის ყოფილმა ირლანდიელმა ლაურეატმა მიაბზო, როგორ სვამდა წყალს ჭიქიდან სემუელ ბეკეტი ბარში... სერბიელი პოეტი ავტობუსიდან ჩამოვარდა. მას არავინ თანაუგრძნობდა. წყალს არასოდეს სვამდა! ბოლო დღეს მწერლები „ათენას ჭოტის“ კოსტიუმებში გამოენყვინენ. დაუვინყარი მოგონებაა! მათი სულელური ხელმონერები... საბერძნეთში გატარებული არდადეგების შემდეგ მე და მარტა მივხვდით, რომ სასტუმროს ერთ ნომერში ცხოვრება ჩვენთვის სრულიად აუტანელი იყო. ახლა თვალეები ცრემლებით მევსება. თვითონაც არ ვიცი, რატომ ვტირი. „წყლიანი ჭიქის“ ალბომის ბოლო გვერდზე სასტუმროს ცარიელი აივნები დახატული. ვიდაცას მიუწერია „დილის ხუთი საათი“ და, იქვე: „უკვე დადგა ხვალინდელი დღე“, უამრავი მწვანე და ცისფერი ნიშნაკებით. არ მახსოვს, ვინ დანერა ეს.

ჰიონ ჯინ-გონი

სახლი

ინგლისურიდან თარგმნა ირინა ნოზაძემ



ჰიონ ჯინ-გონი (1900-1943 წწ.), ლიტერატურული ფსევდონიმით - ბინგ-ჰო, დაიბადა 1900 წლის 9 აგვისტოს (სხვა ვერსიით - 2 სექტემბერს) დეგუსი (სამხრ. კორეა). ის სამწერლობო ასპარეზზე 1920 წელს გამოვიდა, როდესაც გაზეთ „გენეზისში“ მისი ნოველა „სამსხვერპლო ყვავილები“ დაიბეჭდა. ჯინ-გონმა კრისტიკოსთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ნოველით „ლარიბი კაცის ცოლი“, რომელიც ასევე „გენეზისში“ გამოქვეყნდა 1921 წელს. ბელეტრისტთა შორის მან საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, როგორც ერთ-ერთმა მთავარმა რეალისტმა მწერალმა.

„სახლი“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა, კოლონიალ ქცეული კორეის სურათს გვიხატავს. მოთხრობა ერთგვარად აჯამებს 1920-იანი წლების ვითარებას კორეაში, როდესაც იაპონიის იმპერიის კოლონიურმა პოლიტიკამ განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. მოთხრობელი ალგვიწერს უჩვეულად ჩაცმულ კაცს, რომელიც მატარებლის კუბეში მის გვერდით აღმოჩნდება. ამ პერსონაჟის გალატაკება და თავს დატყევილი უბედურება ალგვიწერს ულად წარმოგვიდგენს იაპონიის კოლონიალიზმის ზეგავლენას კორეელთა ცხოვრებაზე.

მთარგმნელი

მატარებელში, რომელიც დეგუდან სეულისკენ მიემართებოდა, ერთ უჩვეულო შესახედაობის კაცს შევხვდი. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი, თვალს ვერ ვწყვეტდი. ის ტრადიციული პალტოს ნაცვლად, კიმონოში გახვეულიყო, ამ კიმონოს ქვეშ კი უბრალო ბამბის პიჯაკი და ჩინური სტილის შარვალი მოუჩანდა. შარვალი, რომელიც მბრწყინავი, მუქი ნაბლისფერი ქსოვილისაგან იყო შეკერილი, გაქონილ ქალად მოგაგონებდათ. ასეთი სტილის შარვლები უმეტესად ჩინელებს ეცვათ. ფეხებზე, წინდების მაგივრად ტანსაცმლის ნაჭრები შემოეხვია და ჩალის ფეხსაცმელები ჩაეცვა, ხოლო თმები ისე მოკლედ ჰქონდა შეჭრილი, თითქოს გადაპარსული აქვსო. ქუდი არ ეხურა. ერთი სიტყვით, მსგავსი შესახედაობის ადამიანს იშვიათად თუ სადმე გადაეყრებოდი.

ნამდვილად გავკვირდებოდი, რომ ჩვენს კუბეში სამი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ერთად აღმოჩნდა. ჩემ გვერდით, სავარძელს მიყრდნობოდა ჩინელი, ჩვენ გასწვრივ ისხდნენ იაპონელი და ის ზემოხსენებული, სასაცილოდ ჩაცმული კაცი. ის არა მხოლოდ შემოსილი იყო სამი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ტანსაცმლით, როგორც აღმოჩნდა, თავისეულად საუბრობდა იაპონურად, ხოლო მისი ჩინური არც თუ ისე ცუდად ჟღერდა.

მისი პირველი სიტყვები იყო: „დოკომადე ოიდედესუკა?“ („საით მიემართებით?“) და აქედან მოყოლებული, ლაქ-ლაქი აღარ შეუწყვეტია. ლაპარაკობდა, რომ ტოკიო იყო

ასეთი და ოსაკა ისეთი, რომ ხალხი ჩოსონიდან ჭამს უზომო ოდენობით ცხარე წინაკას, რომ თავდაპირველად ძალიან აწყინა იაპონურმა საჭმელმა და მანამდე არ გაჩერებულა, სანამ არ დაინახა, როგორ უგულოდ უკრავდა თავს თანხმობის ნიშნად იაპონელი ჯენტლმენი, რომელიც საჩვენებელი და ცერა თითებით ისწორებდა ულვაშებს და უკმეხად, ინტერესის გარეშე, ხანდახან გაეპასუხებოდა: „კარგი ერთი, მართლა?“ სწორედ ამიტომ, ეს უცნაური კაცი ახლა ჩინელს მოუბრუნდა და მასთან დაიწყო საუბარი: „საით მიდიხარ?“, „რა გქვია?“ მან ყველა ღონეს მიმართა, რომ ჩინელის ყურადღება როგორმე მიეპყრო, თუმცა, ამ უკანასკნელის უსიამოვნო, გაჯავრებულ გამომეტყველებას მხოლოდ გაუგებარი, არაგულწრფელი ღიმილი დაჰკრავდა. მას არაფერი უთქვამს. მიუხედავად ამისა, იმ კაცმა მაინც განაგრძო ბურტყუნი, შემდეგ კი მე შემომხედა და გაილიმა.

ეს ღიმილი გველის მომთვინიერებლის ღიმილს მიაგავდა, რომელიც თავისი განსაცვიფრებელი ტრიუკის სასაცლოდ, აპლოდისმენტების მოლოდინში, მაყურებელს შესცქერის.

მის მხერგას ცივად ავარიდე თვალი. მისი ბავშვური ცოდნით ტრაბახის მცდელობები ცოტა არ იყოს, მალიზიანებდა და სასაცილოდ მეჩვენებოდა. ამ უცნაურად ჩაცმულ კაცს ცოტა ხნით ხმა აღარ ამოუღია, თავის ფხანა დაინყო, შემდეგ ფრჩხილების კვნეტა, თან ფანჯარაში იყუ-

რებოდა, თითქოს მოიწყინა. ბოლოს, ეტყობა, მობეზრდა ჩუმად ყოფნა, მობრუნდა და გიონგანგის ოლქის დიალექტზე მკითხა: „საით მივებურები?“

- სეულში მივდივარ - მივუგე.
- მაშ, ასეა? სასიამოვნოა შენთან შეხვედრა. მეც სეულში მივდივარ. ვგონებ, ამ შემთხვევაში ჩვენ თანამგზავრ-მეგობრები ვართ.

არ ვიცოდი, როგორ უნდა მეპასუხა მისი გადაჭარბებული „მეგობრული“ ტონისთვის; სიმართლე რომ ვთქვა, არც მალელებდა, პასუხს გავცემდი თუ არა, ასე რომ, არაფერი მითქვამს.

- დიდი ხანი ცხოვრობდი სეულში? - მკითხა მან.
- იქ ექვსი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი.

სიმართლე გითხრა, არ მსიამოვნებდა ლაპარაკი, თუმცა არ შემეძლო არ მეპასუხა.

- ეგ დიდი დროა! მე სეულს პირველად ვესტუმრობ. როგორ ფიქრობ, საით უნდა გაემუროს ჩემნაირი ხელმარჯვე, დახელოვებული ადამიანი? აქვთ მანდ რამე „კვიზინიადო“, როგორც ჩვენ ვამბობთ იაპონურად? - იკითხა მან და მოიღუშა, თითქოს, თავადვე გააანალიზა ის შეზღუდული შესაძლებლობები, რასაც ვითარება სთავაზობდა.

სწორედ მაშინ შევამჩნიე, რომ მისი სახის მოყვანილობა უფრო მეტად შეესატყვისებოდა მოღუშულ იერს, ვიდრე მომიღმარს. მისი უსწორმასწორო ნარბები ზემოთ აზიდულიყო, დაქანცულ სახეზე ნაოჭები გამოჰკვეთოდა. თვალებქვეშ უპეები უტოკავდა, ხოლო ლოყები ჩასცვენოდა. პირის მარცხენა მხარე მოღრეცილი ჰქონდა, თითქოს მხარე თუთუბოს ღეჭავსო, დანაოჭებული თვალები ჩანყლიანებოდა. ოცდაათ წელზე მეტის არ იქნებოდა, თუმცა, როცა მოიღუშა, სახეზე ათი წელი მაინც მოემატა. იმდენად შეძრული ვიყავი მისი ნატანჯი იერის ხილვით, რომ ჩემი მტრული განწყობა მისდამი საგრძნობლად შემცირდა.

- არ ვიცი, მაგრამ, ვგონებ, მუშათა საცხოვრებლები უნდა იყოს.

შემდეგ ჩამაცივდა - წყალნაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასე იყო მისი საქმე - საცხოვრებელთან დაკავშირებით დეტალები აინტერესებდა, და ისიც კი მკითხა: - როგორ ფიქრობ, ამ დღეებისთვის რამე საშუაო არ მოიძებნება?

თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რომ ჩემი პასუხები გულგრილად უღერდა. მაგრამ, ვინაიდან არაფერი ვიცოდი ხელმისაწვდომი საშუაოების შესახებ, არ შემეძლო უკეთესი პასუხი გამეცა. სანაცვლოდ, მეგობრულად ვკითხე: - საიდან ხარ?

- ჰმ, რა თქმა უნდა, ჩემი მშობლიური მხარიდან, - ამოიოხრა, შემდგომ თავისი წარუმატებელი, უბედური ამბის ძაფის გახსნა დაიწყო.

მისი მშობლიური მხარე სინამდვილეში შორეული სოფელი იყო, სახელად „ჰ“, „კ“ ოლქში, დეგუდან მოშორებით. სოფლის მცხოვრებლებმა, ასზე მეტმა ოჯახმა მთლიანობაში, თავის რჩენა რკინიგზის სადგურზე მიმდგრებული მინის დამუშავებით დაიწყეს. ამ გზით მათ უფრო მეტი თან-

ხის გამომუშავება შეძლეს, ვიდრე ამას საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების შემთხვევაში მოახერხებდნენ. სწორედ ამიტომ, რადგან ამ მხრივ უზრუნველყოფილი არ იყვნენ, მათ მიწისგან მოშორებით, კომფორტულად და მშვიდად ცხოვრების შესაძლებლობა ჰქონდათ. თუმცა ქვეყნის ანექსირების შემდეგ მიწა „აღმოსავლეთის განვითარების კომპანიის“ საკუთრებად იქცა. შესაძლოა, საქმე არც ისე ცუდად ნასულიყო, ხალხს ფერმის გადასახადი უშუალოდ კომპანიისთვის რომ გადაეხადა; მაგრამ, სანაცვლოდ, უცნაურად გამოჩნდა რალაც მონახევრე ადმინისტრაციული მართვის სისტემა. ამ შუამავალ რგოლად ქვეულ მენეჯერებს, რომელნიც თავიანთ ცხოვრებაში ერთხელაც არ შეხებიან მიწას, ქალაქზე „მონახევრები“ ერქვათ, სინამდვილეში კი, სამუშაოს შემსრულებლებთან ურთიერთობისას მინათმფლობელების როლში გვევლინებოდნენ. მას შემდეგ, რაც „აღმოსავლეთის განვითარების კომპანია“ საიჯარო გადასახადს, ხოლო შუამავალი მენეჯერები - საზიარო თანხას მიიღებდნენ, ფერმერებს თავიანთი მოსავლის მხოლოდ სამ პროცენტზე რჩებოდათ. ამ დღიდან მოყოლებული, „მე ვკვდები“, „ასე გაგრძელება აღარ შემიძლია“ და მსგავსი ფრაზები მათი ბაგებიდან ისე გადმოედინებოდა, როგორც ბუდისტური სუტრები ბერის ბაგეთაგან. სოფლის მოსახლეობამ სხვადასხვა მხარისკენ ნაწნალი დაიწყო. ამასობაში კი, სოფელი თანდათანობით გაპარტახდა.

(ცხრა წლის წინ, ამ კაცის მეჩვიდმეტე წლის ვაზაფხულზე ის ახლა მხოლოდ ოცდახუთი წლის იყო. ნუთუ შესაძლებელია, სილატაკეს და ტანჯვას ასე დაებერებინა ადამიანი?!), მისმა ოჯახმა, რომელსაც ჭორად ესმა, რომ დასავლეთ განდომში, მანჯურიაში, ცხოვრების უკეთესი პირობები იყო, საცხოვრებლად იქ გადასვლა გადაწყვიტა. რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც საკუთარი სახლებიდან გამოაქვევს, ისიც სულ ახსოვდა, რომ მათთვის დედამიწის ზურგზე არსად არაფერი შეიცვლებოდა უკეთესობისკენ. ამასთან, იმის შანსიც ნაკლები იყო, რომ ნაყოფიერი მიწა მათ ხელში თავისუფლად გადასულიყო. დასამუშავებლად ვარგისი მიწის ნაკვეთები უკვე სხვებს მიეტაცებინათ, ნაყოფიერზე მეტი კი გამოუსადევარი მიწა იყო. ჩამოსვლის დღიდან თავი ძლივს გაჰქონდათ, იმის შესაძლებლობაც კი არ ჰქონდათ, რომ ნორმალურად ეჭამათ, ჩაეცვათ ან მთელი წლის განმავლობაში მიწა დაემუშავებინათ. მცირედენი თანხა ისესხეს, რათა ძალები მეურნეობაში მოეხინჯათ, მაგრამ შემოდგომისთვის ხელჩასაჭიდი აღარაფერი შეეჩათ. მათ „ცხოვრებას“ ცხოვრება არც ეთქმოდა, ის უფრო მოთმინებით ლოდინს ჰგავდა. შემდეგ ამ კაცის მამა ავად გახდა და უცხო ქვეყნის მარტოსულ აზრდილად იქცა. ცხრამეტი წლისაც არ იქნებოდა, თავის დაქვრივებულ დედაზე ზრუნვა რომ დაიწყო. ყველა ღონეს ხმარობდა, მისი საბრალე ცხოვრების გასახანგრძლივებლად, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ, შიმშილობისა და მძიმე შრომისგან, დედამიწისც დაიღუპა.

- და შემდეგ დედაც დაკარგე. ისე გარდაიცვალა, ერთი სავსე კოვზი ბრინჯის ფაფაც კი არ შეუჭამია, - თქვა



მან და მოულოდნელად გაჩერდა. მის თვალელებში რაღაცამ ბზინვა დაიწყო, რაც ცრემლებს მოასწავებდა.

არ ვიცოდი, მის სანუგეშებლად რა მეთქვა. ხელს ნერვულად ვათამაშებდი. შემდეგ გადაწყვიტე, ის ბრინჯის ღვინის ბოთლი გამეხსნა, რომელიც მეგობრებმა მიყიდეს, სანამ მატარებელში ჩავჯდებოდი. ცოტა ჩამოვასხი ორ ფინჯანში და დავლიეთ. მან, ერთი მეორეზე მიყოლებით, ხუთი ფინჯანი დალია, თითქოს ალკოჰოლი სასტიკი ბედისწერისგან ჩაბუდებულ ნაღველს გააქრობდა, შემდეგ კი თავისი ისტორიის მოყოლა განაგრძო.

იმ ადგილას უკვე აღარ შეჩერებულა, სადაც მშობლები დაკარგა. ჩრდილოეთიდან, შინუიჯუს გავლით სამხრეთით, ანდონგისკენ გაემართა, გზა და გზა დროებითი სამუშაოს პოვნის იმედით, მაგალითად, შეეძლო ხელოსნად ემუშავა სადმე, შემდეგ კი, ამ ძებნა-ძებნაში, იაპონიისკენ აიღო გეზი. მუშაობდა კიუშუს ნახშირის მალაროსა და ოსაკას თუჯასხმელ ქარხანაში. ხელფასი უკეთესი იყო, თუმცა ახალგაზრდა და მარტოსულმა კაცმა თავი სულ აიშვა. ის თითქმის ვერასდროს ახერხებდა გასამრჯელოს დაზოგვას, დაგროვებული ბრახი და სევდა კი ზოგჯერ ერთიანად ამოხეთქავდა, რაც მისთვის შეუძლებელი ხდოდა, ერთ ადგილზე დამკვიდრებულიყო. ჯავრიანი და მშობლიური ქვეყნის მთებსა და მდინარეებს მონყურებული, საჩქაროდ ჩოსუნში დაბრუნდა; მას შემდეგ, რაც სულში გადმოსვლა გადანყვიტა და სამუშაოს ძებნას შეუდგა, თავისი მშობლიური მხარე პირველად მოინახულა.

- ალბათ, სასიამოვნო იყო ნაცნობი სახეების კვლავ დანახვა.

- რა ნაცნობი სახეები? სოფელი გაქრა.

- ჰო, წარმომიდგენია, ბევრი რამ შეიცვლებოდა ცხრა წლის მანძილზე.

- არათუ შეიცვალა, იქ უკვე აღარავინ ცხოვრობს. არც სახლებია, არც ხალხი, უპატრონო ძაღლსაც ვერ ნახავ.

- იმის თქმა გინდათ, რომ ის ახლა ქალაქი-მოჩვენებაა?

- ჰმ, შეიძლება ასეც ითქვას. მხოლოდ რამდენიმე ჩამოშლილი კედელია შემორჩა. ის მიწის ნაკვეთიც კი ვერ ვიპოვე, სადაც ჩვენი სახლი იდგა. როგორც ვხვდები, მიტოვებული სოფელი არასდროს გინახავთ.

როგორც კი ტონს აუნია, ხმა ჩაუნყდა.

- სახურავები ნაწილ-ნაწილ დაღპა და ჩამოცვივდა, საძირკვლის ქვები კი აქეთ-იქით ეყარა, გეგონება, ამოთხრილი საფლავის გარშემო ძვლები მიმოუფანტავთო. როგორ შეიძლება, ასეთი რამ მოხდარიყო? სოფელმა, რომელშიც ასზე მეტი ოჯახი ცხოვრობდა, ათწლეულსაც ვერ გაუძლო და გაუკაცრიელდა!

მან მძიმედ ამოიხვნეშა და შორეულ მთებს გახედა, თითქოს ნანახს მესხიერებაში აცოცხლებსო. შემდეგ ღვინო კიდევ მოსვა.

- ოჰ, ამან გული მომიკლა... გული მომიკლა, - თქვა თუ არა, ორი მსხვილი ცრემლი ჩამოეღვარა.

ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ამ ორ ცრემლს შორის, პირდაპირ ჩოსონის დაბეჩავებულ, პირქუშ სახეს ვუყურებდი.

შემდეგ ვკითხე: - და ვისაც იცნობდი, მათგან აღარავინ გინახავს?

- ერთი ვინმე ვნახე, მხოლოდ ერთი.

- ოჯახის წევრი?

- არა. ის მეზობლად ცხოვრობდა, - თქვა მან და სახე უფრო მოელუშა.

- ალბათ, ძალიან გაგიხარდათ ერთმანეთის დანახვა.

- რასაკვირველია. ეს შეხვედრა აჩრდილის ნახვას ჰგავდა, რომ აღარაფერი ვთქვამთ იმაზე, რომ ჩვენ პატარა ისტორიაც გვაკავშირებდა...

- ისტორია?

- ჩვენ დანიშნულები ვიყავით.

- აი, ეს შესის!

გაოცებისგან პირი ღია დამრჩა.

- ჩემზე უარესი ცხოვრება არც მან გამოიარა, - თქვა კაცმა და ახლა ამ ქალის ამბის მოყოლას შეუდგა.

როგორც აღმოჩნდა, ეს ქალი მასზე ორი წლით უფროსი იყო. კარის მეზობლები იყვნენ, ამიტომ ერთად იზრდებოდნენ, ერთად თამაშობდნენ და ჩხუბობდნენ. როდესაც კაცი თოთხმეტი წლის გახდა, მისმა მშობლებმა ქორწილის გამართვაზე საუბარი დაიწყეს, რამაც ახალგაზრდას გული სიხარულით აუვსო. თუმცა, ერთ ზამთარს, როდესაც გოგონა უკვე ჩვიდმეტი წლის იყო, მოულოდნელად, უკვალოდ გაქრა. როგორც შემდგომ გაირკვა, მისმა ეგრეთ წოდებულმა მამამ, ის დეგუს საროსკიპოს ოც ვონად მიჰყიდა.

როგორც კი ამ ამბავს ფარდა აეხადა, გოგონას ოჯახი სოფლიდან გააძევეს და აიძულეს, შორს გადაკარგულიყვნენ. რასაკვირველია, ჩემს თანამოსაუბრეს ეს გოგონა მას შემდეგ აღარ უნახავს. მხოლოდ უკან დაბრუნებისას, როდესაც თავის დაცარიელებულ სოფელს კვლავ ესტუმრა, შემთხვევით ნაანყდა იმ ქალს, რომელიც მისი ცოლი უნდა გამხდარიყო. ის ახლა ერთ იაპონურ ოჯახში ძიძად მუშაობდა. ათი წლის მანძილზე ცდილობდა, როგორმე ათი ვონი გაესწორებინა და თავისი „სხეულის ფასი“, ათი ვონი, გაესტუმრებინა, თუმცა საროსკიპოსთვის კიდევ სამოცი ვონი ჰქონდა გადასახდელი. დაბეჩავებული, მწვავე დაავადებით, ისე გამოიყურებოდა, როგორც მოსიარულე გვამი, ამიტომ, მისმა მფლობელმა დარჩენილი ვალი ჩამოაწერა და გასულ ზამთარს გაათავისუფლა.

ეს ქალიც, პირველად თავისი სახლისკენ გამოემართა, თუმცა, ველარც სახლი ნახა, ვერც მშობლები, მხოლოდ ეული ქვების გროვა დახვდა აქ, რომელიც მისი თვალებიდან გადმოღვრილი ცრემლებით სველდებოდა. მთელი დღე ქვითინებდა, ნუხდა დაკარგული წლების გამო და მანამდე დახეტიალობდა ქალაქში, სანამ ბოლოს, ცოტაოდენი იაპონურის ცოდნის წყალობით, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში აითვისა, ერთ იაპონურ ოჯახში არ იპოვა სამუშაო.

- მჯერა, რომ ამბობენ, ადამიანები იცვლებიანო, მაგრამ როგორ შეიძლება ადამიანი ასე შეიცვალოს? მისი ოდესღაც სქელი თმა დათხლებულიყო, თვალები ჩასცვენოდა, მისი კანი კი, რომელიც ერთ დროს გლუვი და ნაზი იყო, ახლა მუავათი დამწვარს ჰგავდა.

- ალბათ, ერთმანეთს ჩაეხუტეთ და ბევრი იტირეთ.

- არ გვიტირია. ატრიის საჭმელად ნაველით, დავლიეთ და შემდეგ ერთმანეთს დავშორდით.

ტანჯვით ამოიხვნეშა, თითქოს გულზე რაღაც აწვა. ძველი დარდისგან დაღლილიყო, დარდისგან, რომელმაც კვლავ გაიღვიძა მის გონებაში.

- რა აზრი აქვს ამაზე საუბარს? - თქვა დანაღვლიანებულმა და გაჩუმდა.

ასეთი სასტიკი ბედისწერის შესახებ საუბრის მოსმენამ გული მატკინა.

- მოდი, ჩავამთავროთ ეს სასმელი - ვუთხარი მე.

ერთმანეთს მანამდე ვუსხამდით ღვინოს, სანამ ბოთლი არ დავცალეთ.

ღვინით შემთვრალმა ჩემმა თანამგზავრმა იმ სიმღერა წილილინა, რომელსაც ბავშვობაში მღეროდა ხოლმე, მაშინ, როცა მისი სიტყვების მნიშვნელობა ჯერ არ ჰქონდა გაცნობიერებული:

ეს ახლა გაკვეთილი გზაა,

მინდვრები, რომლებიც ბრინჯის ტომრებში გვათავსებდნენ.

ის ახლა საპატიმროშია,

მეგობარი, რომელმაც ბევრი ილაპარაკა.

ის ახლა სასაფლაოზე განისვენებს, ბერიკაცი, რომელმაც თავის გრძელ ჩიბუხს მიუკაკუნა.

ის ახლა საროსკიპოში იტანჯება,

გოგონა ლამაზი პირისაბით.



უილიამ შექსპირი

ჰამლეტი

ინგლისურიდან თარგმნა ლელა სამნიაშვილმა



ჰამლეტი ქართულად 1886 წელს გამოქვეყნდა და ივანე მაჩაბლის გონებამახვილი, პოეტურად უზადო ქართული ვერსია იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა მკითხველისთვის, რომ დღემდე არავის გადაუწყვეტია ალტერნატივის შეთავაზება. მეც ვთვლი, რომ მაჩაბლისეული ჰამლეტი, როგორც კონკრეტული ტექსტი, თავისი ფორმულებად ქცეული ფრთიანი ფრაზებით ისევე არ ექვემდებარება ხანდაზმულობას, როგორც ვთქვათ, ბარათაშვილის მერანნი. თუმცა, რადგან ორიგინალი კიდევ უფრო ძველი და ამავე დროს, თემატურად და სტილისტურად თანამედროვეა, რაშიც ინგლისური ლიტერატურის კურსის ფარგლებში სტუდენტებისთვის ჰამლეტის რამდენიმეწლიანმა სწავლებამ დამარწმუნა, გადავწყვიტე, რომ დროული იქნებოდა ახალი თარგმანი. ვთვლი, რომ ამ მცდელობას ამართლებს ორიგინალის თავისუფალი რიტმი, რომელიც მაჩაბლის თარგმანში თეთრ ლექსად მოჩანს, აგრეთვე კონკრეტული პასაჟების განსხვავებულად წაკითხვის შესაძლებლობა, რაც არამც და არამც არ გულისხმობს თარგმანის მეტ სიზუსტეს. თარგმანში სიზუსტე ინტერპრეტაციას მაინც ვერასდროს სცდება. როგორც მე და თქვენ ახლა, მაჩაბელი, ორიგინალის ენასთან, საუკუნეებით იყო დაშორებული. ალბათ მისი თარგმანი მეცხზრამეტე საუკუნის

ბოლოს ქართულ კონტექსტს უფრო ირეკლავს ენობრივად და სტილისტურად, ვიდრე მეთექვსმეტე საუკუნის ინგლისს; ისე როგორც ორიგინალი ირეკლავს ელიზაბეთის სამეფოს და არა უფრო ძველი პერიოდის დანიას. მომავალი თაობებისთვის ეს თარგმანი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად იქცა კიდევ. უნდა ვაღიაროთ, რომ ახალგაზრდებისთვის დღეს ძალისხმევას მოითხოვს შექსპირის წაკითხვა ქართულად. არადა, შექსპირის თემები ისევ ძალიან დროულია. თუნდაც ამ პუბლიკაციაში შემოთავაზებული სცენა, ისევე გვაჩვენებს სქესებს და თაობებს შორის კონფლიქტს, როგორც ყოველდღიური რეპორტაჟები დღევანდელ მედიაში - ქალთა მდგომარეობას, ან მშობლების მიერ შვილებში ჩანერგილ ამბიციებს. ერთსაც დავამატებ, - ოფელია, როგორც შექსპირის პერიოდის ქალი პერსონაჟების უმრავლესობა, საყოველთაოდ მიიჩნევა პასიურ გმირად, მსხვერპლად, ხმას მოკლებულ არსებად. მოცემულ სცენაში კი, ოფელიას დიალოგი ძმასთან - აშკარა გამონაკლისია. მის მოკლე შეპასუხებაში ნამდვილად ისმის სუსტი, მაგრამ გასაგონი პროტესტი.

წლის ბოლოს გამომცემლობა არტანუჯი „ჰამლეტის“ ამ ახალ ვერსიას სრულად გამოსცემს.

მთარგმნელი

(აქტი 1, სცენა 3, ოთახი)

შემოდან ლაერტესი და მისი და, ოფელია

ლაერტესი:

ჩალაგდა ჩემი ბარგი. მშვიდობით.
დაო, როცა კი დაუბერავს ზურგის ქარი
და გემები გამოცურავენ,
არ დაიზარო, წერილები გამოატანე.

ოფელია:

ამაში ეჭვი გეპარება?

ლაერტესი:

ხოლო ჰამლეტს და შენდამი მის ყურადღებას რაც შეეხება,
ჩათვალე, რომ დროებითი გართობაა, სისხლის დუღილი,
ახალგაზრდული სულსწრაფობა, გაზაფხულზე მოსული ია,
ნაადრევად რომ ჩნდება და ჭკნება; ლამაზია, მაგრამ დღემოკლე,
მთელი მისი სურნელება არის მხოლოდ წუთის სამყოფი.
მეტს ვერ განვდება.

ოფელია:

წუთუ მართლა მხოლოდ ეს არის.

ლაერტესი:

უფრო მეტი წუ გეგონება.
რადგან მუდმივი ცვლილებაა კაცის ბუნება,
და არა მხოლოდ სხეულის ზრდა, ძალით ავსება,
არამედ ცვილი - გონების და სულის თასების სულ იძერწება,
რაც დრო გადის, უფრო ღრმავდება. ალბათ უყვარხარ,
ალბათ მართლა გულწრფელია და სუფთა მისი
ამუჟამინდელი გრძნობა, მაგრამ უნდა გახსოვდეს,
ასე დიდებულს არ ეკუთვნის თავისი თავი -
დაბადებითვე მძევალია წარმომავლობის,
ჩვეულებრივი მოკვდავივით არ შეუძლია
საკუთარ ბედს თვითონ ჭედავდეს, რადგან სწორედ მის არჩევანზე
დგას მთელი ქვეყნის სიმშვიდე და კეთილდღეობა.
ბუნებრივია, ამ არჩევანს განაპირობებს
ხმა და თანხმობა მთელი სხეულის,
რომლის თავიც თვითონვე არის.
ამიტომ, თუნდაც იმეორებდეს, რომ უყვარხარ,
მხოლოდ მაშინ დაიჯერე მისი სიტყვების,
როცა ირწმუნებ, რომ ამ გრძნობას ხორცშესხმა ელის
და შეძლებს, საქმით დაგიმტკიცოს; ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება,
თუ ამ კავშირს მხარს დაუჭერს სამეფო კარი.
კარგად ანონე, რა საფასურს გადაიხდი, თუ ღირსება დაგავინწყდება,
თუ ბოლომდე მიაპყრობ სმენას მის ტკბილ სიმღერებს,
გულის კარს თუ გაუღებ ფართოდ და შენს საგანძურს, უბნოებას
მიანდობ მის უმართავ სურვილს.
ფრთხილად იყავი ოფელია, ძვირფასო დაო,
ეცადე თავი მართო, გრძნობა არ გაამჟღავნო,
ვნების საშიშ ნიაღვრებში არ ჩაგიყოლიოს.
უმანკოების დაკარგვისთვის საკმარისია,
მთვარემ სარკმლიდან მოკრას თვალი ქალის სიშიშველეს.
უმნიკვლობასაც არ დაგიდევს ცილისწამება.
ძალიან ხშირად გაზაფხულის პირმშობებში მატლი იბუდებს
მანამდე, ვიდრე ღეროები კვირტებს გახსნიან;
ხშირად სინორჩის გარიჟრაჟზე, საამურ ნამში
შეეპარებათ ხოლმე ავი სნეულებები.
იფრთხილე, რადგან გადარჩენისთვის სწორედ შიში არის მთავარი.
თავის თავს ავნებს სიყმანვილე ამბოხებებით, და სხვას არავის.

ოფელია:

გპირდები, მე ამ გაკვეთილის ყველა სიტყვას დავიმახსოვრებ, დავიყენებ გულის დარაჯად, მაგრამ ჩემო კეთილო ძმაო, ნუ მოიქცევი, როგორც ზოგი უღირსი მღვდელი, ხალხს რომ უჩვენებს ციკაბო და ეკლიან გზას სამოთხისაკენ, თვითონ კი ხელი აუღია თავზეც, სინდისზეც, გადავარდნილა ავხორცული ვნების მორევში და სხვის ცოდვებთან არის მხოლოდ სიტყვით მომრევი.

შემოდის პოლონიუსი

ლაერტესი:

ჩემ გამო ნუ შეგეშინდება. დიდხანს შევყოვნდი. მამაჩემმაც მომაკითხა. ხელმეორე დალოცვასაც მივიღებ, როგორც ორმაგ წყალობას. სარგებელი მოაქვს ზოგჯერ დაგვიანებას.

პოლონიუსი:

ლაერტეს, ისევ აქ ხარ? გრცხვენოდეს! სწრაფად, გემბანზე! ილბლიანი ამინდია ნაოსნობისთვის, შენ კი გემის გასვლას აყოვნებ. მოდი, დაგლოცო, და რამდენიმე ოქროს წესი ჩაიბეჭდე ღრმად გონებაში: ყველაფერს, რასაც გაიფიქრებ, ნუ ანდობ ენას, და ნურც ცხელ გულზე ნაფიქრს აქცევ უმალ ქმედებად, ხალხთან იყავი ახლოს, მაგრამ არ გაითქვიფო. ძველი, ნაცადი მეგობრები, ვინც ნამდვილად გეიმედება, სულთან მიიბი მტკიცე ლევდებით, მაგრამ ყოველი შემთხვევითი ნაცნობობისთვის თავს ნუ დასდებ და ალაღბედზე ხელს ნუ გაისვრი. ჩხუბს მოერიდე, მაგრამ თუკი ჩხუბში აღმოჩნდი, მოქიშპეს ქიშპი გაუხადე სანანებელი, ყური ათხოვე ყველას, თუმცა ნებისმიერს ხმას ნუ შეაწევ, სხვების აზრები მოისმინე, მაგრამ ენდე საკუთარ განსჯას, ჯიბე რამდენზეც გაგინვდება, იმდენი ხარჯე, მაგრამ ზედმეტიც ნუ მოგივა ზიზილ-პიპილა; ტანსაცმლით კაცის შეფასება ხშირად მოსულა და საფრანგეთში ვისაც გვარი აქვს და ნოდება, ამჟღავნებს ნატიფ გემოვნებას, იცვამს მოდურად. დაიმახსოვრე - არც ისესხო, არც გაასესხო, ვალი თავის თავს კარგავს ხშირად და მეგობარსაც, და სესხება კი ბოლოს ქისას აცარიელებს. და უმთავრესი ქვეყნად რაც არის - იყავ მართალი საკუთარ თავთან და როგორც ცხადი მოსდევს ღამეს, თვითონვე ნახავ, რომ არავისთან ტყუის კაცი, თუ თავის თავთან არის მართალი. მშვიდობით. ამ გზით სიარულში შეგენიოს ჩემი დალოცვა!

ლაერტესი:

თქვენის ნებართვით, ნავალ მაშინ, ჩემო ბატონო.

პოლონიუსი:

დრო არ იცდის. მსახურები გელოდებიან.

ლაერტესი:

ოფელია, მშვიდობით! და არ დაივინყო რაც გითხარი.

ოფელია:

ყველა სიტყვამ გონებაში დაიდო ბინა და ამ სიბრძნის გასაღები შენც თან ატარე.

ლაერტესი:

მშვიდობით.

ლაერტესი გადის.

პოლონიუსი:

რას გულისხმობდა, ოფელია, რა დაგარიგა?

ოფელია:

გეტყვი, ბატონო - ლორდ ჰამლეტზე მელაპარაკა.

პოლონიუსი:

კარგი უქნია, ღვთისმშობლის მადლმა.
ხმა მომივიდა, ძალიან ხშირად გვიანობით
გაკითხავს თურმე, და შენც, შენს მხრივ,
მეტისმეტად თავისუფლად და გულუხვად ხვდები.
თუ ისეა - როგორც ჩემამდე მოაღწია
ხმებმა კეთილისმყოფელებისგან, - უნდა გითხრა, რომ
მთლად მკაფიოდ არ გესმის მგონი
რა ევალება ჩემს ქალიშვილს და შენს ღირსებას.
თქვენ ორს შორის რა ხდება? გისმენ! სიმათლე თქვი.

ოფელია:

ჩემო ბატონო, ბოლო ხანებში სულ ჩემდამი თავის გრძნობებზე მესაუბრება.

პოლონიუსი:

თავის გრძნობებზე! გამოუცდელი სულელივით ლაპარაკობ,
ასეთ საფრთხილო საქმეებში სულ ვერ ერკვევი.
თვითონ გჯერა მისი გრძნობების, როგორც უნოდებ?

ოფელია:

ბატონო, მართლა დაბნეული ვარ და არ ვიცი, რა ვიფიქრო.

პოლონიუსი:

ღვთისმშობელო, დამეხმარე, ავუხსნა ამ ბავშვს. ჩათვალე რომ
გულუბრყვილობით მოგივიდა, თუკი მართლა დაიჯერე
რომ ეს „გრძნობები“ რამენაირად არის ნამდვილი. პატივი ეცი
შენს თავს (უფრო სწორედ, ცალ ყურში რომ არ შეუშვა),
პატივი მეცი მე, მამაშენს, და ყველას თვალში მასხარად არ გადამაქციო.

ოფელია:

ბატონო, თავის სიყვარულზე ღირსეულად მელაპარაკა.

პოლონიუსი:

„ღირსეულადაც“ დაარქვი ახლა. მიდი, განაგრძე.

ოფელია:

და ძალიან გულწრფელი ჩანდა, ჩემო ბატონო,
ზეცის წინაშე დაიფიცა ყველაფერი, რაც არის წმინდა.

პოლონიუსი:

კაკანათი ტყის ქათმებისთვის! კარგად ვიცი,
როცა სისხლი ჩქეფს, სული როგორ მიუშვებს ენას
ათასგვარი ქარაფშუტობა ილაპარაკოს. ეს კოცონი, ჩემო გოგონა,
უფრო მეტად ანათებს, ვიდრე ათბობს; მალევე ჩაიფერფლება,
სათქმელიც კი არ დარჩება შენთვის, რადგან ვნების ნაფოტებს
სიყვარულის ცეცხლი მუდამ არ ეკიდება. ამიერიდან,
როგორც ქალწულს შეეფერება, თავი მეტად დაიფასე,
იშვიათად შეხვდი, ნაკლები ელაპარაკე,
შენს სიტყვას ნუ გააიაფებ. გახსოვდეს, რომ ლორდი ჰამლეტი
ახალგაზრდა ბატონია და შეუძლია თავსაც
მეტის უფლება მისცეს, ვიდრე თვითონ გაქვს. ოფელია,
მოკლედ, ნუ უსმენ მის დაპირებებს; ხშირად სიტყვები
მაჭანკლები არიან, ტურფად მორთულები, მოკაზმულები,
რომ უხამსი წინადადება ლამაზად გითხრან,
ლაპარაკობენ ამაღლებულ, წმინდა კავშირზე
და ცოდვისკენ მიგაქანებენ. სულ ეს არის.
მარტივად რომ ვთქვათ, ამის შემდეგ
უფლებას არ გრთავ, გააგრძელო თავის შერცხვენა
ლორდ ჰამლეტთან შეხვედრებით და დროის კარგვით.
გაფრთხილებ, კარგად დაიმახსოვრე. ახლა წავედით.

ოფელია:

როგორც მიბრძანებთ, ჩემო ბატონო.

გადიან.

დავით მაზიაშვილი შექსპირი ბრექსიტის წინააღმდეგ



I. ანტონიოსი და კლეოპატრა

დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა
ექსპერტი ხდება

ნოამ ჩომსკი

*In democratic society everybody be-
comes an expert*

Noam Chomsky

ინგლისელთა ეროვნული პოეტისა და დრამატურგის, უილიამ შექსპირის შემოქმედებას ლონდონის ნაციონალური თეატრი ახალი დადგმებით თითქმის ყოველ წელს წარმოადგენს. 2018 წელს „მაკბეტის“ პრემიერის შემდეგ დიდი მოლოდინი იყო „ანტონიოსი და კლეოპატრას“ მიმართ, რადგან რეჟისორ საიმონ გოდვინს ამ პიესის დადგმა რამდენიმე წლით ადრე ჰქონდა გადაწყვეტილი. 2018 წლამდე ანტონიოსისა და კლეოპატრას სასიყვარული ამბავი ლონდონისა და ბრიტანეთის მთავარ თეატრალურ სივრცეში ორჯერ წარმოადგინეს. პირველად 1987 წელს, რეჟისორ პიტერ ჰოლის დადგმა ენტონი ჰოპკინსისა და ჯუდი დენჩის მონაწილეობით და მეორედ 1998 წელს, შონ მათიას სპექტაკლი ალან რიკმანისა და ჰელენ მიერის შესრულებით.

როგორც ცნობილია, შექსპირის პიესა რომის იმპერიის იმ პერიოდს შეეხება, როდესაც ანტონიოსის, ოქტავიოსისა და ლეპიდოსის სახით მსოფლიოს ტრიუმვირატი მართავდა. სწორედ ამ დროს ტრიუმვირატის ერთ-ერთი წევრი, ანტონიოსი, სასიყვარულო ურთიერთობას აბამს ალექსანდრიის დედოფალთან. შეყვარებული ანტონიოსი ივინყებს ყველაფერს და კლეოპატრასთან გა-


დადის საცხოვრებლად, თუმცა დროებით, რადგან ცოლის, ფულვიას სიკვდილი მოვალეობის გრძნობას უღვიძებს. იგი ტოვებს ალექსანდრიას, ჩადის რომში, რომელიც იმ დროს პომპეოს უმცროსთან საომარ მდგომარეობაში იყო, მოლაპარაკების გზით ზავს დებს პომპეოსთან, ცოლად ირთავს ტრიუმვირატის წევრის, ოქტავიოსის დას ოქტავიას და მასთან ერთად ათენს მიემგზავრება. სწორედ ამ დროს ოქტავიოსი აპატიმრებს ტრიუმვირატის მესამე წევრს ლაპიდოს, კლავს პომპეოსს და რომის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად აცხადებს თავს. ანტონიოსი კეისართან მოსალაპარაკებლად ათენიდან რომში ოქტავიას გზავნის, თუმცა თავადაც ტოვებს ათენს, საბოლოოდ კლეოპატრასთან ბრუნდება და მასთან ერთად ალექსანდრიის სამეფოს მმართველი ხდება. ამის შემდეგ კეისარი ანტონიოსს ომს უცხადებს და მას აქტეონის ბრძოლაში ამარცხებს. ანტონიოსს ჰგონია, რომ მარცხის მიზეზი კლეოპატრას ლალატია და მას მოკვლით ემუქრება. შეშინებული კლეოპატრა მსახურების მეშვეობით ანტონიოსს ამცნობს, თითქოს ის მკვდარია, რის შემდეგაც ანტონიოსი თავის მოკვლას გადაწყვეტს და სიცოცხლეს კლეოპატრას მკლავებში ასრულებს. ანტონიოსის სიკვდილის შემდეგ კეისარი კლეოპატრას დატყვევებას გადაწყვეტს, თუმცა კლეოპატრაც თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. ანტონიოსი და კლეოპატრა ერთად არიან დაკრძალულები, ხოლო მათი სიყვარულის ისტორია, რომეო და ჯულიეტას ისტორიის მსგავსად, უკვდავი გახდა.

შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრა“ 1606-1607 წლებით თარიღდება და გამოჩენის დღიდან ლიტერატურ-

რათმცოდნეთა შორის და თეატრის სამყაროში მას უამრავი ინტერპრეტაცია მოჰყვა. მკვლევართა აზრით, შექსპირის პიესას სხვადასხვა წყარო უდევს საფუძვლად, მაგრამ უმთავრესი პლუტარქეს ნაშრომის „ცხოვრება მარკუს ანტონიოსისა“ (*The Life of Marcus Anthony*) და „დემეტრიუსისა და ანტონიოსის შედარება“ (*Comparison of Demetrius with Antonius*) სერ თომას ნორთისეული თარგმანია (1579). პერსონაჟების თხზვის, ენობრივი, სტილისტური თუ სხვა ტექსტუალური თავისებურებებიდან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ პიესას კრისტოფერ მარლოს შემოქმედების გავლენაც აქვს (Munson Deats 2005: 153, 154, 164, 165). სემუელ კოლრიჯი „მაკბეტის“, „მეფე ლირის“, „ჰამლეტის“ და „ოტელოს“ გვერდით „ანტონიოს და კლეოპატრას“ შექსპირის უძლიერეს ტრაგედიათა რიცხვს მიაკუთვნებდა (Munson Deats 2005: 1). მოგვიანებით კოლრიჯის მოსაზრებაზე კრიტიკოსები სხვადასხვა თვალსაზრისს გამოთქვამდნენ (Munson Deats 2005: 1) (Potter 2007: 80): ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ „ანტონიოსი და კლეოპატრა“ უდიდეს ტრაგედიებს შორის არ უნდა ყოფილიყო განხილული, რადგან ის უპირველესად სასიყვარულო ტრაგედიაა; მეორე ნაწილის აზრით, პიესის ცენტრალური თემა წარმატებაა და არა სიყვარული (Potter 2007: 82, 83). მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ფემინისტ კრიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ პიესას „კლეოპატრა“ უნდა რქმეოდა (Munson Deats 2005: 21, 22), ხოლო გასული საუკუნის 90-იანი წლებისა და 2000-იანი წლების დასაწყისში პოსტკოლონიალისტური კრიტიკა გამოჩნდა, რომელიც პიესას ეთნიკური და რასობრივი მიმართულებით განიხილავდა (Munson Deats 2005: 4, 5). მიმაჩნია, რომ შექსპირი, ანტონიოსის და კლეოპატრას სიყვარუ-

ლის ისტორიით არა მხოლოდ დასავლური და აღმოსავლური კულტურის განსხვავებულობას, ორი იმპერიის დაპირისპირებას ან სამყაროს ე.წ. აპოლონურ-დიონისურ ბუნებას წარმოგვიდგენს, არამედ, უპირველესად, განსხვავებათა ისტორიულ კავშირს, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ იმპერიის მმართველთა სიყვარულითაა გაერთიანებული.

როგორც პოლ აინისი (PAUL INNES) აღნიშნავს, შექსპირის პერიოდის ძლიერი პროტესტანტული ინგლისის სცენაზე რომაული (თუნდაც ანტიკური პერიოდის) პიესის გათამაშება დაკავშირებული იქნებოდა რომთან, რომელიც დღევანდელი რომის მსგავსად კათოლიკური სამყაროს დედაქალაქი იყო. „ანტონიუსი და კლეოპატრას“ იმ დროს დადგმა პროტესტანტი ტუდორების მიერ კათოლიკე სტუარტებთან ასოცირდებოდა (Innes 2015: 121). ჰოპკინსის აზრით, შექსპირის პიესა სკოტების მეფეებზე ლეგენდასაც გახსენებს, რომლის მიხედვით ისინი სკოტას, ფარაონის ქალიშვილის, შთამომავლები არიან და შესაბამისად, პიესაში კლეოპატრა მეფე ჯეიმზთან ასოცირდება, რაც, რა თქმა უნდა, ინგლისზე სკოტების მეფობასთანა დაკავშირებული, ხოლო ანტონიუსის პერსონაჟი კანონისა თუ სახელმწიფოს მონყობის რომაულ სისტემასთან, რომლის დამკვირდებლაც მეფე ჯეიმზი ბრიტანეთში ცდილობდა (Innes 2015: 121, 122) (Munson Deats 2005: 233, 234). აღსანიშნავია, რომ სკოტას მითის მიხედვით, სკოტების წინაპრები ბოშები იყვნენ, რომლებიც თავის მხრივ ეგვიპტიდან იღებდნენ დასაბამს და მათი ინგლისში მიგრაცია სკოტლანდიიდან ხდებოდა (Munson Deats 2005: 232). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პიესა „ანტონიოსი და კლეოპატრა“ შექსპირის






ეპოქაში მიგრაციის საკითხებსაც შეეხებოდა, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სკოტას მითის მიხედვით ეგვიპტე სკოტლანდიასთან ასოცირდებოდა, კლეოპატრას ეგვიპტე ინგლისსაც გამოხატავდა, ხოლო კლეოპატრას დედოფალ ელიზაბეთის მხატვრულ სახედ მოსაზრებას, კრიტიკოსები არაერთი ისტორიული პარალელით ამყარებენ, მათ შორისაა დედოფლების სამხედრო უნარები, რომელიც კლეოპატრას შემთხვევაში აქტიონის, ხოლო ელიზაბეთ I-თან ტილბერის ბრძოლაში გამოვლინდა (Munson Deats 2005: 24, 236). შექსპირის პიესის ამგვარ აღქმას ანამორფული ეწოდება.

საიმონ გოდვინის ინტერპრეტაციით, „ანტონიოსი და კლეოპატრა“ თანამედროვე დროში ვითარდება და მასში შენარჩუნებულია პიესის ანამორფულობა, რომელიც შექსპირს ჰქონდა ჩაფიქრებული. ამჯერად საინტერესოა თავად სპექტაკლის ანამორფულობის თანამედროვე მხარე და ბუნებრივი შეკითხვა - რატომ გახდა საჭირო ლონდონის ნაციონალური თეატრის სცენაზე ანტიკური პოლიტიკური თუ სასიყვარულო ისტორიის კიდევ ერთხელ გაცოცხლება. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი თავად მსახიობი რეიფ ფაინზია. მისი ძლიერი ინტელექტუალური და ფიზიკური სამსახიობო უნარები. ფაინზის ანტონიოსი 2011 წელს მის მიერ გადაღებულ და განსახიერებულ შექსპირის სხვა რომელ სარდალს, კორიოლანოსაც მოგვაგონებს. საიმონ გოდვინის სპექტაკლი „ანტონიოსი და კლეოპატრა“ შექსპირის პიესის მსგავსად 42 სცენისგან შედგება და მაიკლ ბილინგტონის ნათქვამისა არ იყოს, კინოფილმის რიტმში მიმდინარეობს. რეჟისორი კარგად იყენებს თანამედროვე თეატრის ყველა ტექნიკურ შესაძლებლობას. სცენოგრაფიდან დაწყებული, გახმოვანების სისტემებითა თუ ვიზუალური ეფექტებით დამთავრებული და სპექტაკლის ყურებისას შთაბეჭდილება გრჩება, რომ კინოთეატრში ხარ. ყოველივე ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს კლეოპატრას სასახლის, ტრიუმფირატის და პომპეოსის შეხვედრისა თუ აქტიონის ბრძოლის სცენებში, რა დროსაც სცენაზე სცენოგრაფია მთლიანად იცვლება. შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოქმედება ერთ შემთხვევაში აღმოსავლური დიზაინის თანამედროვე მდიდრულ სასახლეში ვითარდება, მეორე შემთხვევა-

ში სცენის სიღრმიდან პომპეოსის წყალქვეშა ხომალდი ამოიზრდება, ხოლო აქტიონის ბრძოლის დროს სრული ილუზია გექმნება, რომ ანტონიოსისა და მისი რაზმის ბრძოლის თანამონაწილე ხარ. რაც შეეხება მთავარი როლის შემსრულებლებს, რეიფ ფაინზი და სოფი ოკონედო უბადლოდ ასრულებენ დასავლური და აღმოსავლური სამყაროს მმართველების სასიყვარულო ისტორიას და საოცრად წარმოაჩენენ პიესის დუალურ მხარეებს, რომელიც რომი-ეგვიპტის, (დასავლეთი - აღმოსავლეთი), ომი-სიყვარულის, საზოგადო-პირადულის, მოვალეობა-განცხრობის, გონება-ვნების, კაცი-ქალის (Potter 2007: 134) თუ სხვა სახით სპექტაკლშიც ხილულია. დუალურ მხარეებთან ერთად თვალმისაცემია პიესის ანამორფულობაც - ანტიკური სამყარო და შექსპირის თანამედროვე ინგლისი, რომელიც პიესის ტრაგიკულ ქსოვილში კომიკური ელემენტებითაა გადმოცემული. სპექტაკლში მთავარი მოქმედი გმირები ანტონიოსი და კლეოპატრა არიან, ხოლო მთავარი თემა მათი სიყვარულის ისტორიაა. თუმცა, როგორც ზემოთ ვახსენე, მათი სიყვარული კულტურათა ურთიერთობაა და სწორედ ამ კონტექსტში არანაკლებ მნიშვნელოვანია ტრიუმფირატის პოლიტიკური ინტერპრეტაცია.

როგორც აღან ბლუმი შექსპირის პიესის განხილვისას შენიშნავს, იულიუს კეისრის ძალა, მისი სიკვდილის შემდეგ ორ მეტოქეში გადანაწილდა. ანტონიოსის წილად ერგო მეომრის ხელოვნება, ხოლო ოქტავიოსს გონიერება, სიფრთხილე და წინდახედულობა (Blooms 1993: 43). პიესის მსგავსად, ანტონიოსი სპექტაკლშიც უდიდესი ძალაუფლების მფლობელია, რომელიც დიდი ავტორიტეტით გამოირჩევა სამხედროებში. სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ ოქტავიოსი პირდაპირ ვერ უპირისპირდება მას. ოქტავიოსს ანტონიოსის თანადგომა და, შესაბამისად, ჯარის ერთიანობა (კოალიცია) სჭირდება აჯანყებული პომპეოსის დასამარცხებლად. სპექტაკლში ოქტავიოსს აფროამერიკელი მსახიობი განასახიერებს, რომელიც თავისთავად გულისხმობს მულტიეთნიკური თანამედროვე რომის, ანუ ევროპის სახეს. იგი რომის ინტერესების დამცველად გვევლინება და პიესის მსგავსად სპექტაკლის დასაწყისიდანვე ნათელი ხდება, რომ ანტო-



ნიოსისა და ოქტავიოსის ბუნებიდან, ხასიათიდან თუ მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მათ შორის დაპირისპირება გარდაუვალია. ლაპიდოსს კი ხნიერი მსახიობი თამაშობს, რომელიც ნომინალურ ფიგურად გამოიყურება და მხოლოდ გარკვეულ ეპიზოდებში დამბალანსებლის ფუნქციას ასრულებს, რადგან რეალური ძალაუფლება ანტონიოსისა და ოქტავიოსის ხელშია. სწორედ აღნიშნავს ალან ბლუმი როცა ამბობს, რომ: „რიცხვი სამი მშვიდობის აღმნიშვნელია, ხოლო რიცხვი ორი დაპირისპირებისა“ (Bloom 1993: 43). ოქტავიოსისა და ანტონიოსის პერსონაჟების დაპირისპირების კონტექსტში საინტერესოა ოქტავიას ფუნქცია. მისი და ანტონიოსის ქორწინება ცალსახად ძმის - ოქტავიოსის და ანტონიოსის მიერ პოლიტიკური მიზნებისთვის არის გამოყენებული, რათა მათ შორის დაძაბული ურთიერთობა დროებით განიმუხტოს. ოქტავიოსი დას ანტონიოსის სამართავად იყენებს, რადგან, როგორც ზემოთ ვახსენე, პომპეოსთან ომის დროს მას არ აწყობს ანტონიოსთან დაპირისპირება. სპექტაკლში ოქტავიას ქერათმიანი მსახიობი თამაშობს, რომელიც მკაცრი, პრავმატული დასავლელი ქალის გამოხატულებაა და რომელიც კარგად აცნობიერებს საკუთარი როლის მნიშვნელობას ოქტავიოსის პოლიტიკურ სვლებში. სწორედ ამიტომ იგი საკუთარ მოვალეობას უსიტყვოდ ასრულებს. იგი რადიკალურად განსხვავდება კლეოპატრას პერსონაჟისგან, რომელიც მულატი, ვნებიანი, მოსიყვარულე, გიჟური და სექსუალური ქალის სტიქიაა. სპექტაკლის ფინალში, როდესაც ოქტავია ანტონიოსისთვის მკვდარ კლეოპატრას დაჰყურებს, მის მზერაში ეჭვიანობა, შური, თუმცა იმავდროულად, ამგვარი ვნებისა და სიყვარულის ობიექტად თავად ყოფნის სურვილია გადმოლერლი.

შეიძლება ვთქვათ, რომ საიმონ გოდვინის მიერ 2017 წელს ლონდონის ნაციონალურ თეატრში დადგმული შექ-

სპირის კომედიის „მეთორმეტე ლამე“ სიყვარულის ისტორია, ანტონიოსისა და კლეოპატრას სასიყვარული ისტორიის სახით ტრაგედიისკენ მიემართება, რომლის ტრაგიკულობასაც პოლიტიკური თამაშობანი განაპირობებს. ვფიქრობ, რომ გოდვინის „ანტონიოსი და კლეოპატრა“ სასიყვარულო და პოლიტიკური თემატიკა ისევ ბრექსიტთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ 2018-2019 წლები ინგლისის პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი სივრცისთვის გადამწყვეტია და, შესაბამისად, მთავარი განხილვის თემა ბრექსიტია. ზოგადად შექსპირის ეპოქის ბრიტანეთისთვის ბრექსიტი უცხო არ იყო. სწორედ ერთ-ერთი პირველი ბრექსიტი მეფე ჰენრი VIII-ს სახელს უკავშირდება, როდესაც რომის კათოლიკური ეკლესიისგან ინგლისის გამოყოფა დაიწყო. მოგვიანებით დედოფალ ელიზაბეთ I-მაც იმავე პოლიტიკის გატარება განაგრძო და საბოლოოდ ინგლისი პროტესტანტულ და ანგლიკანურ ქვეყნად ჩამოყალიბდა. შექსპირის დროის ევროპაში კი სწორედ რომი, ქრისტიანობა და კათოლიციზმი იყო დასავლეთ ევროპის გამაერთიანებელი. ხოლო აქ აქტუალური ხდება ბევრი კრიტიკოსის მოსაზრება შექსპირების ოჯახის და თავად უილიამ შექსპირის ე.წ. რეკუზატობის შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი კათოლიკე დისიდენტი უნდა ყოფილიყო (იხ. ჩემი სტატია შექსპირის სიმულაკრი).

როგორც ცნობილია, იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ კასკა, კასიუსი და ბრუტუსი ანტონიოსთან ბძოლაში დამარცხდნენ, რის შემდეგაც რომის იმპერია ტრიუმვირატის მმართველობაში გადავიდა. ისევე, როგორც 1945 წელს ფაშოზმის დამარცხების შემდეგ ე.წ. ტრიუმვირატმა (სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი) მსოფლიო გადაინაწილა, ხოლო 1957 წელს ხელი მოეწერა ე.წ. „რომის შეთანხმებას“, რომელსაც მოგვიანებით ბრიტანეთიც შეუერთდა და კონტინენტურ ევროპასა და ბრიტანეთს შო-

რის ევროკავშირის ნიაღში „პოლიტიკური სასიყვარულო ერთობა“ დამყარდა, რომელიც დღეს ბრექსიტის სახით დასასრულს უახლოვდება. ეს დასასრული კი შესაძლებელია დამლუპველი აღმოჩნდეს იმ კულტურათა დიალოგისთვის და სიყვარულისთვის, რომელიც დასავლელი ანტონიოსისა და აღმოსავლელი კლეოპატრას სახითაა წარმოდგენილი ან თუ გნებავთ, კლეოპატრა-ელიზაბეთი - ინგლისისთვის და ანტონიოსი - რომი - ევროპისათვის, ან კლეოპატრა - ბრიტანეთი და ანტონიოსი, როგორც მის ნიაღში შემავალი სკოტლანდია-ირლანდია და, შესაბამისად, ევროპას შორის (სკოტლანდიის და ირლანდიის ამგვარი ინტერპრეტაცია ისტორიულად და შექსპირის პიესის კონტექსტში პირდაპირ უკავშირდება სკოტას მითს.) (იხილეთ - Munson Deats 2005: 239). შექსპირის „ანტონიოსი და კლეოპატრა“ ელიზაბეთის მმართველობის შემდგომ დაინგო და ლეონარდ ტენენჰაუსის აზრით, ის დედოფლის ძალაუფლების ელეგიაა (Holderness, Laughrey, Murphy 1996:9). სარა მუნსონ დითის აზრით კი, შექსპირის მხრიდან აბორიგენულ ქალურ მმართველობაზე მამაკაცური მმართველობის საბოლოო გამარჯვების მხარდაჭერა (Munson Deats 2005: 9), რაც შექსპირის ეპოქის მონარქისტული მმართველობის კონტექსტის გარდა, შესაძლებელია გავიგოთ, როგორც მამაკაცური-პაპისტური რომის აღიარებად. ხოლო თანამედროვე კონტექსტში პარალელები შეიძლება გავავლოთ ბრიტანეთის ქალი პრემიერ-მინისტრის, ტერეზა მეთის მოღვაწეობასთან, რომლის საქმიანობა ბრექსიტთანაა დაკავშირებული და ეს საკითხი მისი, როგორც თანამედროვე კლეოპატრას - ბრიტანეთის ელეგიადაც შესაძლოა მივიჩნიოთ.

ჯორჯ ბრენდის აზრით, შექსპირის მიზანი პიესაში „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „მეფე ლირის“ მსგავსად მსოფლიო კატასტროფის ემოციის გამოწვევა იყო (Potter 2007: 58). პიესის მოქმედება ევროპის ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე კი არ ვითარდება, არამედ მსოფლიო სცენაზე. „ანტონიოსი და კლეოპატრა“ „ოტელოს“ ან „ჰამლეტის“ მსგავსად ერთი ქვეყნის ოჯახურ ტრაგედიას არ გვიამბობს. აქ არ ვხვდებით ახალგაზრდა ფორტინბრას („ჰამლეტიდან“), რომელიც ახალი, ბედნიერი მომავლის შექმნის პირობას იძლევა. ბრენდის აზრით, ოქტავიუსის გამარჯვება არავის ანიჭებს დიდებას. შექსპირს ამ პიესით ე.წ. გლობალური ანიჰილაციის ჩვენება სურდა, რომელიც იულიუს კეისრის მკვლელობის შემდეგ რომის იმპერიის დიდებას მოჰყვა (Potter 2007: 58, 59). აღსანიშნავია, რომ ამგვარი უნივერსალური კატასტროფა პიესაში არაერთი ბიბლიური ეპიზოდითაც არის წარმოჩენილი (Innes 2016: 123, 124). მაგალითად IV მოქმედების 2 სურათში ანტონიოსის გამოსათხოვარი წვეულება დანახულია, როგორც ქრისტეს საიდუმლო სერობა (Potter 2007: 72), ხოლო ენობარბოსის დეზერტირობა, როგორც იუდას საქციელი (Munson Deats 2005: 28). აგრეთვე კლეოპატრას სიტყვები: „Now no more The Juice of Egypt's grape shall moist this lip...“ (Act 5 scene 2) (...კვლავ ველარადროს ამ ტუჩთ ეგვიპტის ყურძნის წვენი ველარ დააღობს...) (თარგმანი ი. მაჩაბლისა), შეესატყვისება სიტყვებს მათეს სახარებიდან: „I will not drink the fruit of the vine, until the kingdom of God shall come...“ (Matthew 26: 29) (...ხოლო მე გუებნებით თქვენ: აღარა ვსვამ ამიერიდან ვაზის ამ ნაყოფისგან, ვიდრე იმ დღემდე, როცა თქვენთან ერთად შევსვამ ახალს მამაჩემის სასუფეველში.) (მათე 26:29) (Potter 2007: 76). პიესის უკან ოვიდიუსის „მეტამორფოზებსაც“ ხედავენ (Potter 2007: 99, 102). ასეც რომ არ იყოს, ერთი რამ ცხადია, რომ გარდა სასიყვარულო და პოლიტიკური ტრაგედიისა, პიესა დიდ ცვლილებებს შეეხება, რომელიც, არა მხოლოდ რომის იმპერიის მმართველობაში ავგუსტინეს მოსვლას, ან შექსპირის ინგლისში სკოტლანდიელი მე-

ფე ჯეიმზის გამეფებას, არამედ ქრისტეს მოვლინებით ძველი სამყაროს ახლით ტრანსფორმირებას უკავშირდება.

რთულია პიესის ამგვარი ინტერპრეტაციის შემდეგ სპექტაკლის თანამედროვე კონტექსტში პარალელები არ გავავლოთ ახლანდელი რომის იმპერიის (ევროკავშირი) ბრიტანეთის (ევროპის კონტინენტის ერთი მესამედის) ანტონიოსივით კლეოპატრასთან გასვლით შექმნილ რეალობას შორის, რომელიც ოქტავიუსის გამარჯვების მსგავსად ხელს არავის უნდა აძლევდეს. შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ლონდონის სცენაზე დადგმული ანტონიოსისა და კლეოპატრას სასიყვარულო ისტორიით დასავლეთსა და ევროპაში ბრექსიტის სახით მიმდინარე ტრანსფორმაცია მოყოლილი, რომელიც 2000 წლის წინ ევროპაში იმპერიის ტრიუმფირატის დამლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. სწორედ მაშინ დაიმსხვრა რომაული დემოკრატია და აღმოცენდა ავგუსტინეს იმპერია. სწორედ ანტონიოსისა და კლეოპატრას კულტურათა სიყვარულის - ბრიტანული თვითმკვლელობით (რეფერენდუმი) თანამედროვე ტრიუმფირატის - ევროკავშირის და, შესაბამისად, მსოფლიოს ტრანსფორმაციის მომსწრენი ვართ, რომელიც ავგუსტინეს კალენდრისა არ იყოს, ძველის დასასრულის და რალაც ახლის დასაწყისის მომასწავლებელია.

II. ტრაგედია მეფე რიჩარდ მეორისა

ჯო-ჰილ გიბინსის მიერ 2018 წელს ლონდონის თეატრ „ალმეიდაში“ დადგმულ შექსპირის ისტორიულ პიესას „ცხოვრება და სიკვდილი მეფე რიჩარდ მეორისა“ ბრექსიტის რეფერენდუმის შემდეგ ბრიტანეთში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის კრიტიკა შეიძლება ვუწოდოთ. სპექტაკლი შექსპირის პიესით, ინგლისის ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს გვახსენებს და ისტორიის ხელახლა გადაკითხვით თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკურ რეალობას წარმოაჩენს.

როგორც ცნობილია, უილიამ შექსპირმა „რიჩარდ მეორე“ დაახლოებით 1595 წელს დაწერა, წყაროდ კი ჰოლინშედის ქრონიკები (1587) გამოიყენა. თუმცა პიესას სემუელ დანიელის ეპიკური პოემის „სამოქალაქო ომების პირველი ოთხი წიგნი“ (The First Four Book of the Civil Wars) (1595), ქრისტოფერ მარლოს „ედვარდ მეორე“ (1595) და ანონიმური ავტორის პიესა „ვუდსტოკის“ (Woodstock) (1591-95) გავლენაც აქვს (Forker 2013: 113, 117). ასევე უცნობია შექსპირის „რიჩარდ მეორე“ პირველად რომელ თეატრში ითამაშეს, რადგან სპექტაკლი თანაბრად შეიძლება იყოს ნარმოდგინათ იმ დროის ლონდონში მოქმედი ბარბიჯის თეატრში, „ქართინსა“ (Curtain), თუ თეატრში „სვანი“ (Swan). ასევე ვარაუდობენ, რომ 1601 წლის 7 თებერვლის ცნობილი აჯანყების მცდელობის წინ სწორედ შექსპირის „რიჩარდ მეორე“ გაითამაშეს გლობუსის თეატრში (Forker 2013: 121,122).

როგორც ცნობილია, ელიზაბეთის I-ის გამეფების თანავე პარლამენტში და მის გარეთ საუბარი დაიწყეს მისი მემკვიდრის შესახებ. კანდიდატებს შორის სახელდებოდა მერი სტუარტი, ლედი მარგარეტ სტუარტი, ლედი ქეთრინ გრეი, მისი ვაჟი და ა.შ. კათოლიკეები მხარდაჭერას სკოტლანდიის დედოფალ მერი სტუარტს უცხადებდნენ, ხოლო პროტესტანტები კეთრინ გრეის და მის ვაჟს (Forker 2013: 9). 1570 წლის თებერვალში რომის პაპმა პიუს V-მ დედოფალი ელიზაბეთი, როგორც ჰენრი VIII-ის ქაბტის მემკვიდრე, არალეგიტიმურად ცნო (Hadfield 2004: 2). ამას მოჰყვა დედოფალ ელიზაბეთის კრიტიკა ბრიტანეთშიც. როგორც რიჩარდ სიმფსონი 1874 წელს აღნიშნავს, დედოფალ ელიზაბეთის წინააღმდეგ კათოლიკე-პოლემისტის, ტომას მორგანის, რიჩარდ როულენ-



დის და რობერტ პარსონის მიერ 1584 და 1592 წლებში სამი მოკლე პროპაგანდისტული თხზულება გამოქვეყნდა. პირველი პამფლეტი დედოფალს აფრთხილებდა, რომ მას ედვარდ მეორის, რიჩარდ მეორისა და ჰენრი მეექვსის ბედი ელოდა. მეორე პამფლეტი მიმართული იყო ელიზაბეთის ხაზინადარის, ლორდ უილიამ სესილის წინააღმდეგ და იგი დედოფლის სახელის გამოყენებით მოსახლეობის სასტიკ მოპყრობაში იყო დადანაშაულებული. მესამე პამფლეტი, რომელიც პარსონის მიერ ლათინურად იყო დაწერილი და ინგლისურად თარგმნილი, კათოლიკეების წინააღმდეგ ელიზაბეთის სასტიკ კანონებს შეეხებოდა. ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ კათოლიკეების მსგავსად დედოფლის მთავრობის მიმართ რადიკალი პურიტანებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ 1576 წელს დედოფლის მრჩეველებს პარლამენტში ლიად აკრიტიკებდნენ (Forker 2013: 8). მონარქის მრჩეველები კი რეალური ძალაუფლების მფლობელნი იყვნენ, რადგან მათი მეშვეობით ხდებოდა დასახული პოლიტიკის აღსრულება (Hadfield 2004: 2, 3).

1590-იანი წლების ინგლისს პოლიტიკური კრიზისის პერიოდად მოიხსენიებენ. 1580 წელს ინგლისსა და ესპანეთს შორის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც ესპანელებმა მხარი დაუჭირეს კათოლიკეების შეთქმულებას, რომელთა მიზანი ელიზაბეთ I-ის მოკვლა და ტახტზე მისი ბიძაშვილის, კათოლიკე მერი სტიუარტის დასმა იყო. ამის შემდეგ 1584 წელს ინგლისსა და ესპანეთს შორის ომი დაიწყო და 1590 წლამდე გაგრძელდა (Hadfield and Hammond 2004: 4,5). ყოველივე ამას 1594-1603 წლებში ირლანდიასთან 9-წლიანი ომი დაემატა, რომელიც კათოლიკურ ევროპასა და პროტესტანტულ სამყაროს შორის ომად აღიქმებოდა (Hadfield and Hammond 2004: 14). იმავდროულად ელიზაბეთის გარემოცვაში გრაფ ესექსა და ელიზაბეთის მრჩეველებს შორის მწავე დაპირისპირება იყო. ელიზაბეთის გარემოცვას ეჭვი ჰქონდა, რომ გრაფ ესექსს პოლიტიკური მოკავშირეები ირლანდიაში, პაპთან და ესპანეთში ჰყავდა (Hammer 2008: 8). სწორედ 1599 წელს დედოფალ ელიზაბეთის და გრაფი ესექსის ირლანდიაში სამხედრო ინტერვენციისას, ინგლისში სერ ჯონ ჰეივარდის წიგნი „მეფე ჰენრი IV ცხოვ-

რების და მეფობის პირველი ნაწილი“ (*The First Part of the Life and Raigne of King Henrie IV*) გამოქვეყნდა, რომელიც გრაფ ესექსს ეძღვნებოდა (Forker 2013: 12) (Hammer 2008: 9,10). წიგნში აღწერილი იყო რიჩარდის მიერ გვირგვინის დაკარგვა და ჰენრი მეოთხის გამეფება. იმ დროს კი რიჩარდ მეორე დედოფალ ელიზაბეთთან ასოცირდებოდა. ამას მოწმობს თავად დედოფლის სიტყვებიც, რომელიც 1601 წლის აგვისტოში წარმოთქვა: „...I am Richard II, know ye not that?...“ (Hadfield 2004: 16). გრაფი ესექსი უარყოფდა რაიმე კავშირს ჰეივარდის წიგნთან და ყოველივე ამას დედოფლის მრჩეველების მხრიდან მის წინააღმდეგ აგორებულ „შავ პიარს“ უწოდებდა. მიუხედავად ამისა, ე.წ. ირლანდიის კრიზისის შემდეგ ელიზაბეთმა გრაფი ჯერ დააპატიმრა და ყველა სამეფო ტიტული ჩამოართვა (Hammer 2008: 6), ხოლო 1601 წელს სიკვდილით დასაჯა.

1601 წლის 7 თებერვალის აჯანყება სწორედ გრაფი ესექსის სახელს უკავშირდება. ესექსის მხარდამჭერებმა შექსპირის დასს 40 მილიონი გადაუხადეს და აჯანყებამდე ერთი დღით ადრე გლობუსის თეატრში „რიჩარდ მეორის“ წარმოდგენა შეუკვეთეს. ისინი ფიქრობდნენ, რომ სპექტაკლი აჯანყებისთვის კარგი პროპაგანდა იქნებოდა (Forker 2013: 11). ვინც აჯანყების წინა დღით შექსპირის „რიჩარდ მეორის“ წარმოდგენა დაუკვეთა, დიდი ალბათობით, პარალელებს ხედავდა მათ ანწყოსა და ისტორიულ წარსულს შორის. აღსანიშნავია, რომ ესექსის მომხრეები შექსპირის პიესაში ბოლინგბრუკის თანამოაზრეთა შთამომავლები იყვნენ. ისევე, როგორც ელიზაბეთ I-ის რიჩარდ მეორის, ხოლო გრაფი ესექსი ბოლინგბრუკის შთამომავალი (Dawson and Yachnin (edit)2011: 5). ისტორიულ წიაღსვლებში რომ არ გადავიდეთ, ინგლისის ისტორიის ეს მონაკვეთი დაკავშირებულია ბრიტანეთის შიდა პოლიტიკურ საკითხებთან, ინგლისის, ირლანდია-სკოტლანდიისა და კათოლიკური ევროპის ურთიერთობებთან, რომელიც საბოლოოდ ტუდორების დინასტიის შეცვლით და მეფე ჯეიმზ სტუარტის გამეფებით დასრულდა. ჯეიმზის გამეფება კი ინგლისში კათოლიკური რელიგიის შემწყნარებლობასთან და ირლანდიისა და სკოტლანდიის ერთიან ბრიტანულ სამეფოში გაერთიანებას პირდაპირ უკავშირდება.

შექსპირის მეფე რიჩარდი სამეფო ტახტს და გვირგვინს საკუთარ ბიძაშვილს ბოლინგბრუკს უთმობს, რომელიც ინგლისიდან საფრანგეთში იყო გაძევებული და საფრანგეთიდან მომავალი ინგლისის მეფის ტახტზე ჯდება. ისტორიული თვალსაზრისით, პიესის ეს მონაკვეთი ელიზაბეთის და მისი ბიძაშვილის, ჯეიმზ სტუარტის დედის, მერი სტუარტის პარალელებს აღძრავს, რომელიც ბოლინგბრუკის მსგავსად საფრანგეთიდან სკოტლანდიის გავლით ინგლისის ტახტისკენ ისწრაფოდა. შექსპირის „რიჩარდ მეორე“ სწორედ ელიზაბეთის კარზე მიმდინარე დაპირისპირებას ასახავს და ჯეიმზის გამეფებამდე მიმდინარე პოლიტიკურ კრიზისს შეეხება. აგრეთვე პიესის ერთ-ერთი მთავარი თემა სუსტი მმართველი და მმართველობაა. სუსტი მმართველის კონტექსტში საინტერესოა ჯონ გონტის აზრები რიჩარდის ინგლისზე:

„...This royal trone of kings, this sceptred isle,
This earth of majesty, this seat of mars,
This other Eden, demi-paradise,
This Fortress built by Nature for herfelt
Against infection and the hand of war...“

„...ეს ტახტი მეფეთა, მბრძანებელი კუნძული ესე,
ეს მიწა-წყალი დიდებისა, მარსის სადგური,
სამოთხის მსგავსი, ვით მეორე ედემი იგი,
ბუნების ხელით აგებული ციხესიმაგრე,
ყოველგვარ ჭირთა და ომთაგან ბუნების მცველი...“

(*II მოქმედება, სურათი 1*)
(თარგ. გ. გაჩეჩილაძისა).

ჯონ ბლეიდის განმარტებით, გონტის სიტყვები პიესაში ინგლისის გარდასულ დღეთა დიდებას შეეხება. როგორც იყო ინგლისის სარაინდო დოქტრინა და ერთიანი ქრისტიანული ფასეულობების სისტემა, რომელიც ჯვაროსნული ომების დროს ერთიანი დასავლური ღირებულებების გამომატველი იყო. ყოველივე ეს კი დასაბამიდან ბრიტანეთის დამაარსებლის, ბრუტუსის სახელს უკავშირდება. გონტის აზრით, ინგლისი ომის ღმერთის, მარსის სახლია, რომელიც რომულუსის და რემუსის მამაა და რომის მითოლოგიაში ერთ-ერთი უპირატესი ღმერთია (Blade: 2013: 24,25). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გონტი ინგლისის დიდებას ერთიან დასავლურ წარმართულ თუ ქრისტიანულ კონტექსტში მოიაზრებს და როგორც ლაგეტი აღნიშნავს, ინგლისის წარსულისა და აწმყოს განსხვავებას წარმოგვიდგენს (Leggatt 1988: 55). რიჩარდის ხელში კი ინგლისი გადაიქცა:

„ინგლისი იგი, ადრე სხვათა ქვეყნის მპყრობელი,
საკუთარ თავის სამარცხვინო მპყრობელად

ქცეულა“.
(*II მოქმედება, სურათი 1*)
(თარგ. გ. გაჩეჩილაძისა).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ელიზაბეთის მეფობის დროს აქტუალური იყო თემა - თუ ვის ეკუთვნოდა გვირგვინი, ელიზაბეთს თუ მის ბიძაშვილს, სკოტლანდთა დედოფალ მერის. ეს საკითხი დღევანდელ ბრიტანეთშიც აქტუალურია. ვის ირჩევს ინგლისი, პროტესტანტულ-პურიტანულ კონსერვატიულ პოლიტიკას თუ პროკათოლიკურ, დღეს უკვე პროევროპულ ერთიან ევროპულ სივრცეს?! ტუდორების და შემდეგ უკვე ჯეიმზ პირველის მმართველობის დროსაც მსგავსი პოლიტიკური საკითხები იყო აქტუალური. მიუხედავად იმისა, რომ 1605 წლის აპრილში მეფე ჯეიმზ I ე.წ. ჯეკის დროშის ქვეშ ბრიტანეთის გაერთიანებას შეეცადა, 1607 წელს ინგლისის პარლამენტმა ეს წამოწყება დაბლოკა, რადგან მიაჩნდათ, რომ გაერთიანება ინგლისზე სკოტლანდთა მმართველობას გააძლიერებდა (Hadfield 2004: 98), ისევე როგორც თანამედროვეობაში, ბრექსიტის კამპანია ივეროლოგიურად აწყობილი იყო იმ აზრზე, რომ ინგლისი უნდა იმართებოდეს ინგლისიდან და არა ბრიუსელიდან ან სტრასბურგიდან. ბრექსიტის ერთ-ერთი მთავარი სლოგანი კი იყო „დავიბრუნოთ კონტროლი“ (Take Back Control).

შექსპირის პიესის მსგავსად ჯონ ჰილ გიბინსის მიერ „ალმეიდაში“ დადგმული „რიჩარდ მეორის“ მთავარი პრობლემაც სუსტი მმართველობა, შიდაპოლიტიკური დაპირისპირება დააჯანყებაა. შეიძლება ითქვას, რომ სპექტაკლს ლაიტმოტივად ჯონ გონტის ზემოაღნიშნული სიტყვები გასდევს: „ინგლისი იგი, ადრე სხვათა ქვეყნის მპყრობელი, საკუთარ თავის სამარცხვინო მპყრობელად ქცეულა“, რომელსაც აფროამერიკული წარმოშობის მსახიობი წარმოთქვამს. სპექტაკლში შექსპირის პიესა შემოკირებულია და თანამედროვე დროშია გადაწყვეტილი. რიჩარდის როლს საიმონ რასელ ბილი თამაშობს, რომელიც „ნაიკის“ სპორტულ ფეხსაცმელში და თანამედროვე ყოველდღიურ სამოსშია გამოწყობილი. სპექტაკლის სცენოგრაფია უსარკმლო ყუთის მსგავსი სივრცეა, რომელიც სამართო საკანს მოგვაგონებს. პიესის ამგვარი გადწყვეტა თითქოს მარტო დარჩენილი მეფე რიჩარდის ფსიქიკურ ან/და გონებრივ მდგომარეობას წარმოადგენს.



სცენაზე 6 სათლი დგას, რომლებსაც **Soil** (მიწა), **Water** (წყალი) და **Blood** (სისხლი) აწერია. ეს კი გარკვეულწილად ეხმაურება პიესაში ყველაზე ხშირად ნახსენებ სამ სიტყვას **waste** (ფუჭი), **blood** (სისხლი), **land** (მიწა), რომელიც როგორც ჯონ ბლეიდი აღნიშნავს, პიესის ცენტრალური ელემენტებია და ინგლისსა და მეფეს გამოხატავს (**Blades: 2013: 41**). სპექტაკლის ამგვარი სცენოგრაფიული გადწყვეტა ჰამლეტის და როზენკრანცისა და გილდენსტერნის დიალოგს მოგვაგონებს, როცა ჰამლეტი დანიას საპყრობილეს უწოდებს, რაზეც როზენკრანცი პასუხობს, რომ მამ მთელი სამყარო საპყრობილე ყოფილაო (მოქ. II სურ. 2). გიბინსი სწორედ თანამედროვე საპყრობილეში მიმდინარე პოლიტიკურ ბაკქანალიას წარუგვს, რომელშიც რიჩარდს თავზე ჯერ წყალს ასხამენ, შემდეგ მიწას (როგორც ტალახს) აყრიან და ბოლოს სისხლს ასხამენ. ვფიქრობ, რომ გიბინსის რიჩარდი მხოლოდ ერთ-ერთი მონარქი კი არაა, არამედ იგი თანამედროვე ინგლისია, რომელიც პიესის კონტექსტში და თანამედროვე პოლიტიკურ დისკუსიაში მეფობას, დიდებას და სახელმწიფოს მმართველობის კონტროლს კარგავს. ხოლო ბოლინგბრუკი თანამედროვე ინგლისელებს გამოხატავს, რომლებიც ბრექსიტით ინგლისს, გაერთიანებულ სამეფოს და ევროკავშირს აუჯანყდნენ. ამის სათავე კი ისტორიულად, პიესაში, 1599-1601 წლების ელიზაბეთის ინგლისსა და თანამედროვე ბრიტანეთის პოლიტიკურ რეალობაშიც ორი დაპირისპირებული მხარეა: პიესაში ჯერ ბოლინგბრუკი და მოუბრეი, შემდგომ რიჩარდი-ბოლინგბრუკის სახით, შექსპირის ეპოქაში ჯერ გრაფი ესექსის და დედოფალი ელიზაბეთის მრჩეველები, ხოლო მოგვიანებით ელისაბეთისა და გრაფი ესექსის დაპირისპირების სახით. თანამედროვე ინგლისის კონტექსტში კი მმართველი კონსერვატიული პარტიის ორი ფრთის დაპირისპირებაა, რომელიც რეფერენდუმის შედეგად ევროპას, ირლანდია-სკოტლანდიას და კონსერვატიულ (პურიტანულ) ინგლისს შორის დაპირისპირებად გადაიქცა. რეჟისორისთვის თანამედროვე ინგლისის პოლიტიკური დისკურსი სპექტაკლის სცენოგრაფიის მსგავსად სამარტოო საკანია, იზოლაცია, რომელშიც რიჩარდი, როგორც ქვეყანა მოხვდა, რადგან როგორც გონტი აღნიშნავს: „ინგლისი იგი, ადრე სხვათა ქვეყნის მპყრობელი, საკუთარ თავის სამარცხვინო მპყრობელად ქცეულა“.

შეიძლება ითქვას, რომ ჯო ჰილ გიბინსის რიჩარდ მეორე, შექსპირის კონტექსტში მოყოლილი თანამედროვე

ინგლისის მდგომარეობაა, რომელიც 1399, 1599 თუ 1601 წლის თებერვლის ისტორიათა ერთობით 2019 წლის თებერვალში მისულ მაყურებელს ინგლისის ანმყოს მოუთხრობს. სპექტაკლში წარმოდგენილი რიჩარდის რეალობა თანამედროვე ინგლისის ბრექსიტულ რეალობასა და რიჩარდის შესახებ ლაგეტის მოსაზრებას კარგად ესადაგება: „ეს მხოლოდ შეურაცხყოფა არაა, არამედ პარადოქსიაა: მე, მეფე, ვაცხადებ, რომ მეფე არა ვარ; და მხოლოდ მე შემიძლია, რომ ეს გავაკეთო, რადგან მეფე არა ვარ...“ („This is not just a violation but paradox: I, the King declare I am not the King; and only I can do this because I am not the King....“). რიჩარდი ბუმონტისა და ფლეჩერის ტრაგიკომიკული გმირივით **A King and no King...** - მეფედ და თან არა მეფედ გვევლინება (**Leggatt 1988: 69**).

შეჯამებისას უნდა აღინიშნოს, რომ ელიზაბეთის ინგლისში შექსპირის გარდა ბევრი დრამატურგი წერდა პიესებს, რომლებშიც მოქმედება ევროპაში ვითარდებოდა. აგრეთვე წერდნენ ანტიპაპისტური მმართველობის შესახებაც, რომელთა შორისაც იყო ქრისტოფერ მარლო (**Hadfield and Hammond 2004: 173,174,175**). ეს გასაკვირი არცაა, იმ დროის ინგლისსა და კათოლიკური ევროპის თუ საფრანგეთსა და ზოგადად ევროპაში მიმდინარე ენ.რელიგიური ომების ფონზე. ელიზაბეთის დროის პიესები არა მხოლოდ ევროპის პოლიტიკური რეალობის, არამედ ალეგორიულად ინგლისის შიდა პოლიტიკური რეალობის გამოხატველიც იყო (**Hadfield and Hammond 2004: 192**). შექსპირის დროს ერთიანი დასავლური ინტელექტუალური სივრცე არსებობდა, რომელშიც ლიტერატურა მხოლოდ ფიქციური ტექსტი არ ყოფილა, ის მეცნიერების, ფილოსოფიის, მედიცინის, პოლიტიკის და ზოგადად პუმანისტური აზროვნებისა და ცოდნის გადაცემისა და გავრცელების საშუალებაც იყო, რომელიც თავის მხრივ ბერძნულ-რომაულ ფესვებს ეფუძნება. შექსპირის შემოქმედება, რომელსაც დღესაც ვსწავლობთ ერაზმუსის, მაკიაველისა თუ მონტეგის მიერ ანტიკური იდეების ხელახალი გააზრებით, მათი მედიატორობითა და გავლენით შეიქმნა (**Hadfield and Hammond 2004: 114**), ამიტომ შექსპირი, მთელი თავისი პუმანისტური სულისკვეთებით დასავლელი იყო, რაც იმავეთვე ევროპობას ნიშნავდა, რადგან როგორც აღვნიშნე, ყოველივე დასავლურის წყარო ბერძნულ-რომაული და ქრისტიანული სამყაროა.

დამონებანი:

შექსპირი, უილიამი, *ტრაგედიები II, ანტონიოსი და კლეოპატრა*, თარგმანი იოანე მაჩაბლისა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბილისი 1987;

შექსპირი, უილიამ, *რიჩარდ მეორე, თხზულებები ხუთ ტომად*, მეორე ტომი, რედ: ნიკო ყიასაშვილი, თარგმანი გივი გაჩეჩილაძისა, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი 1985;

Bloom, Alan, *Shakespeare on Love and Friendship*, University of Chicago Press 1993;

Blades, John, *Shakespeare The Histories*, Palgrave Macmillan 2013;

Forker, Charles (edit), *King Richard II, The Arden Shakespeare*, Bloomsbury 2013;

Hadfield, Andrew, *Arden Critical Companion Shakespeare and Renaissance Politics*, Bloomsbury 2004;

Hadfield, Andrew and Hammond, Paul (Edit), *Arden Critical Companion Shakespeare and Renaissance Europe*, Bloomsbury 2004;

Hammer, Paul E. J., *Shakespeare's Richard II, The Play of 7 February 1601, and the Essex Rising*, Shakespeare Quarterly Vol. 59, No. 1 (Spring, 2008), pp. 1-35 Oxford University Press;

Holderness, Graham, Laughrey, Bryan & Murphy, Andrew (Edit & Introduction) *Shakespeare: The Roman Plays*, Longman 1996;

Innes, Paul *Shakespeare's Roman plays*, Palgrave 2015;

Leggatt, Alexander, *Shakespeare's Political Drama - The History Plays and the Roman Plays*, Routledge London 1988;

Munson, Deats Sara (edit), *Antony and Cleopatra New Critical Essays*, Routledge 2005;

Pason, Anthony B. and Yachnin, Paul (Edit), *The Oxford Shakespeare, Richard II*, Oxford University Press 2011;

Potter, Nicholas, *Shakespeare Antony and Cleopatra*, A reader's guide to essential criticism, Palgrave 2007;

Shakespeare, William, Antony and Cleopatra, <http://shakespeare.mit.edu/cleopatra/full.html>

Shakespeare, William, *The Life and Death of Richard the Second*, <http://shakespeare.mit.edu/richardii/full.html>

ეს შიდასაბა ყოფილიყო თქვანი რაქდაბა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ბ 52/52

